# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 მაისი 2000 №86 (1108) | ფასი 50 თეთრი


# წმინდა სისხლის ფინალი

ნიკოლა ანელკას გოლმა მადრიდის „რეალი“ მეთერთმეტედ გაიყვანა ჩემპიონთა თასის ფინალში. ფინალში, რომელიც არნახული და უნიკალური იქნება: ევროპის მთავარი საკლუბო შეჯიბრის გადამწყვეტ მატჩში ერთი ქვეყნის გუნდებს დღემდე არასოდეს უთამაშიათ, 24 მაისს კი პარიზში „რეალი“ „ბარსელონა“—„ვალენსიას“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

10 ფინალიდან სამეფო კლუბმა შვიდი მოიგო და სამი წააგო, რაც ასევე უნიკალური შედეგია.



REUTERS მიუწვდენიდან

რობერტო კარლოსის და ჰასან სალიჰამიჯიჩის უბურთო და უჩვეულო ორთაბრძოლა

CHAMPIONS LEAGUE

## ნახევარფინალი II წრე

9 მაისი

**ბაიერნი 2:1 რეალი**

პირველი მატჩი 0:2

1:0 იანკერი (12), 1:1 ანელკა (32), 2:1 ელბერი (54)
ბაიერნი: კანი, ბაბელი (სალიჰამიჯიჩი 60), ანდერსონი, კუფური, ლიზარაზუ, შოლი, იერემისი (ფინკი 59), ეფენბერგი, პაულო სერჟიო, ელბერი, იანკერი (სანტა კრუზი 78)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: კასილიასი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ჟულიო სეზარი, კამპო, ხერემი, რედონდო, მაკმანამანი (ბალიჩი 90), რაული, სავიო (კარემბუ 81), ანელკა (სანჩისი 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: იერემისი, ელბერი, ლიზარაზუ, ხერემი, სავიო
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
60 000 მაყურებელი



# ოლიმპიური ჩირაღდანი აინთო

გუშინ ანტიკურ ოლიმპიაში, ჰერას ტაძრის ნანგრევებში ტრადიციისამებრ მზის სხივებისგან დაანთეს სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი. ეს პატივი წილად ხვდა მომხიბლავ ბერძენ მსახიობ ქალს ტალია პროკოპიუს. დღეს იქვე გაიმართება ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის დაწყების ცერემონიალი. ჩირაღდანი ათ დღეს იმოგზაურებს საბერძნეთში, მერე კი დატოვებს ელადას და სიდნეისკენ აიღებს გეზს.

# ტორპედომ დინამო უთასოდ და უმწვრთნელოდ დატოვა

## ყიფიანის ტორპედო თასს ძოძუაშვილის ლოკომოტივთან დაიცავს

გუშინ საქართველოს თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩებში დავით ყიფიანის „ტორპედომ“ და რევაზ ძოძუაშვილის „ლოკომოტივმა“ გაიხარეს. მოგება ვერც ქუთაისელებმა შეძლეს და რკინიგზელებმა სულაც წააგეს ბათუმში, მაგრამ ორი მატჩის ჯამში სწორედ ნაკრების მწვრთნელთა გუნდებმა გაიმარჯვეს და 26 მაისს საქართველოს თასის ფინალში სწორედ ისინი ითამაშებენ. თასის მფლობელმა „ტორპედომ“ გუშინდელი უგოლო ფრით „დინამო“ ხომ გამოთიშა თასის გათამაშებას და უმწვრთნელოდაც დატოვა. კლუბის დირექტორ ვაჟა ჟვანიას თქმით, ოთარ კორღალიძე გათავისუფლებულია და ვინ გაწვრთნის „დინამოს“, დღესვე გაირკვევა.

## საქართველოს თასი
### ნახევარფინალი

საპასუხო მატჩები
9 მაისი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| **ბათუმი** | **1** |
| **ლოკომოტივი** | **0** |

პირველი მატჩი 0:2

| | |
|---|---|
| **ტორპედო** | **0** |
| **დინამო** | **0** |

პირველი მატჩი 1:1

იხილეთ მეორე გვერდი



გუშინ ქუთაისში: „ტორპედო“ — „დინამო“ 0:0. ზურაბ იონანიძე (№2) და ირაკლი ვაშაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუმინეთი

# და ჰაჯი?..



რუმინელთა ოპტიმისტი მწვრთნელი ემერიხ იენეი

რუმინეთის ნაკრები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ქართველების მეტოქეა, ამიტომ დამდეგი ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე მისი თამაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

რუმინელებმა ევროპის ჩემპიონატის ორ ფინალურ ტურნირში იასპარეზეს. მათი საევროპო დებიუტი 1984 წელს საფრანგეთში შედგა. თუმცა ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის სამი შეხვედრიდან ერთიც ვერ მოიგო და პირველობას უსახელოდ დაემშვიდობა. 12 წლის შემდეგ რუმინელების ნაკრები კვლავ გამოჩნდა ევროსარბიელზე, ამჯერად ინგლისში, თუმც თავი აქაც ვერაფრით გამოიჩინა, ჯგუფის მეტოქეებთან — საფრანგეთთან, ბულგარეთთან და ესპანეთთან სამივე შეხვედრა წააგო და შერცხვენილი გაეშურა შინ.

უცნაურია, რომ იმ გუნდის ხელმძღვანელს, რომელსაც ორ ფინალურ ეტაპზე მატჩიც არ მოუგია, დიდი პრეტენზია აქვს. რუმინელთა ამჟამინდელი თავკაცი ემერიხ იენეი ქედს არ იხრის და თვით უმთავრეს ევროპულ პრიზსაც კი უმიზნებს.

„რუმინელი ფეხბურთელები საკმაოდ გამოცდილნი არიან საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონობაზე იფიქრონ — ამბობს იენეი — რატომაც არა, თითქმის ყველა მათგანი კარგ გუნდში თამაშობს. ბოლო ხანს ნაკრებიც წარმატებით ასპარეზობს, ამიტომ მიუღწეველი არაფერია“.

ემერიხ იენეიმ სამწვრთნელო კარიერაში ერთი დიდი ჯილდო უკვე მოიგო — 1986 წელს ბუქარესტის „სტიაუა“ მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონთა თასს დაეუფლა.

აქვე ალვნიშნოთ, რომ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის დაპირებით, ევრო 2000-ზე მიღწეული შედეგის მიუხედავად, იენეი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს შეინარჩუნებს. „იენეი თანამდებობას მხოლოდ მაშინ დატოვებს, თუ რუმინეთის ნაკრებს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თამაში გაუჭირდება — იუწყება ფედერაციის პრეზიდენტი მირჩა სანდუ და დასძენს — მანამდე მწვრთნელის პოსტი ხელშეუხებელია“.

იენეის აზრს იზიარებს საუკუნის რუმინელი ფეხბურთელი და ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედი გეორგე ჰაჯი: „გუნდში ბევრი ფეხბურთელია, რომელთაც მალე კარიერა უნდა დაასრულონ. ჩვენ ფეხბურთიდან ღირსეულად წასვლა გვსურს, ევროპის ჩემპიონობა კი ნებისმიერი სპორტსმენის ოცნებაა“ — ამბობს დიდი რუმინელი.

ევრო 2000-ის შემდეგ ჰაჯი ფეხბურთს თავს ანებებს, თუმცა აქტიურ სპორტულ მოღვაწეობას გააგრძელებს და რუმინეთის ნაკრების დამხმარე მწვრთნელად იმუშავებს.

გაგეცინებათ, მაგრამ 90-იანი წლების ერთ-ერთ თვალსაჩინო ფეხბურთელს, რომელსაც თავისი კარიერის განმავლობაში მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონაში“ უთამაშია, ერთი უცნაური ჩვევა ჰქონია — ერთი ზომით დიდ ბუცებს ატარებს...



კაპიტანი გეორგე ჰაჯი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს დაემშვიდობება

„კარპატების მარადონად“ წოდებულ ჰაჯის წლეულს ევროპის ჩემპიონობის მოპოვების გარდა უეფას თასის მოგებაც ძალუძს. იგი ამჟამად „გალათასარაიში“ თამაშობს, სტამბოლური კლუბი კი ფინალში გავიდა, სადაც „არსენალს“ დაუპირისპირდება.

თაობათა ცვლა რუმინულ ფეხბურთში მართლაც მტკივნეული პრობლემაა. ნაკრების ბევრი წევრი მწვანე მინდორს მალე დაემშვიდობება და მათ ნაცვლად გუნდში ახალი სახელები გამოჩნდება.

— რუმინულ ფეხბურთში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს — აცხადებს იენეი — თუმც ეს თანდათა[...]ნობით უნდა მოხდეს და არა ერთბა[...]შად. დარწმუნებული ვარ, სულ მალ[...] ახალი ტალანტები გაიბრწყინებენ, სხ[...]ვანაირად არც იქნება. რამდენიმე ახა[...]ლგაზრდა ფეხბურთელი ეროვნული ჩე[...]მპიონატიდან უკვე შევარჩიე, თუმც[...] ვიმეორებ, ყველაფერი თანდათანობით მოხდება.

— რუმინული ფეხბურთი გაცილ[...]ბით მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვა[...]ნო — დასძენს ბოლოს იენეი — მთა[...]ვარია მოთმინება და გეგმაზომიერ[...] მუშაობა.

**ნიკა შუბლაძე**

## პორტუგალია

# ოქროს ბირჟა

თუ ვერაფერს მოიგებ, ოქროს თაობაც აღარ ხარ — ამბობს პორტუგალიის ნაკრების და იტალიური „ფიორენტინას“ ნახევარმცველი რუი კოშტა. მართალია? ალბათ, მით უფრო დღეს, პრაგმატიზმის, ქულისა და შესაბამისად ფულის ეპოქაში. ადრე, სადღაც 60-იან წლებში, როდესაც „ბითლზი“ პირველ კოცნას უმღეროდა, კიდევ შეიძლებოდა ტიტულის მოუპოვებლად, მხოლოდ ლამაზი თამაშით დაგემკვიდრებინა ადგილი ხალხის გულში, მაგრამ დღეს, როდესაც კაცობრიობამ რეი ბრედბერის 451 გრადუსისკენ კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა, ანგარიში, ანგარიში და მხოლოდ ანგარიშია მნიშვნელოვანი.

მაშ ასე, ბარსელონელი ლუიშ ფიგუს, „ბენფიკას“ კაპიტნის, ჟოაო პინტუს, ზემოხსენებული რუი კოშტას და მათი მეგობრების თაობა — 1989 და 1991 წლების 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონები — სამშობლოში ოქროსად მონათლეს, მაგრამ, ჯერჯერობით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში რომელიმე დიდი ჯილდო მაინც არ ასვენია. ის კი არა, პორტუგალიის ნაკრები ისტორიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სულ მესამედ მოხვდა.

„მერე რა — ამბობს მწვრთნელი უმბერტუ კოელიუ — ჩვენ ბელგია-ჰოლანდიაში მხოლოდ გამარჯვებისთვის ჩავალთ. უნდა გითხრათ, რომ ჩემს ფეხბურთელებს აბსოლუტურად ვენდობი, მწამს, მათ ჩემპიონობა შეუძლიათ“.

კოელიუ 50 წლისაა, ფეხბურთელობისას მცველი გახლდათ და ეროვნულ გუნდში ჩატარებულ თამაშთა რაოდენობით თანამემამულეთა შორის ერთ-ერთი პირველია. დაგვეთანხმებით, მწვრთნელისთვის 50 წელი საკმაოდ ახალგაზრდული ასაკია, აი, მოთამაშეები კი... „ლაციოს“ მცველი ფერნანდო კოუტუ უკვე 30-ისაა, „ინტერის“ ნახევარმცველი პაულუ სოუზა 29-ის, ფიგუ 27-ის — „ოქროს თაობას“ ბოლო შანსი აქვს.

„წინა ჩემპიონატზე ჩვენ დავამტკიცეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს, ახლა კი ყველას უნდა ვაჩვენოთ, რომ გამარჯვების ძალაც შეგვწევს“ — ამბობს სოუზა.

„ჩვენ ქვეყნის წინაშე ვართ პასუხისმგებელნი. მოვიგებთ თუ წავაგებთ, ვალდებულნი ვართ ევროპის ჩემპიონატზე თავდადებით ვითამაშოთ“ — მაინც რომანტიკულად ჟღერს პინტუს სიტყვები.

პორტუგალიის ნაკრებს საუკეთესო შედეგი 1984 წელს ჰქონდა, როდესაც ნახევარფინალამდე მივიდა, სადაც მომავალ ჩემპიონთან, საფრანგეთის დიდ გუნდთან დამარცხდა. რაც შეეხება ევრო 96-ს, იქ ცალკეულ გაბრწყინე[...]ბათა მიუხედავად (მაგალითად გამარ[...]ჯვება ხორვატიასთან 3:0), მეოთხედ[...]ფინალში ჩეხებთან წააგო.

ამჯერად, პორტუგალიელები მარ[...]თალია, შესარჩევ ჯგუფში მეორე ად[...]გილზე გავიდნენ, მაგრამ შედეგებით[...] სხვა ჯგუფებში მეორეებს აჯობეს და[...] ფინალური ეტაპის საგზურს დაეუ[...]ფლნენ. მომდევნო, 2004 წლის პირვე[...]ლობაზე კი მათ ამთავითვე დაჯავშ[...]ნული აქვთ ადგილი — პორტუგალია[...] შეჯიბრების მასპინძლად გამოცხადდა.

რითაა დღევანდელი გუნდი ძლიერი ან სუსტი? დავიწყოთ მეკარით. ვი[...]ტორ ბაია ერთიხანობა ბრწყინავდა[...] და ინგლისელი ბობი რობსონის დროს[...] „ბარსელონას“ კარშიც ჩადგა, მაგრამ[...] კატალონიელთა ახალმა მწვრთნელმა[...] ლუის ვან გაალმა მასზე უარი თქვა[...]. „პორტუში“ დაბრუნებულმა გოლკი[...]პერმა თანდათანობით ფორმა აღიდგი[...]ნა და დღეს კვლავ გუნდის ერთ-ერთი საყრდენთაგანია.

დაცვაში კოუტუსა და „პორტუს“ კაპიტნის, ჟორჟე კოშტას გამოცდილება უთუოდ იძლევა გარკვეულ გარანტიებს, ხოლო ნახევარდაცვა ამჟა[...]რად გუნდის უძლიერესი ნაწილია — აქ პრობლემა არ არის, ხოლო თუ არის, მეტოქეთათვის.

ყველაზე სუსტ ადგილად თავდასხმაა მიჩნეული. შეტევაში იგრძნობა იმ კაცის ნაკლებობა, რომელიც ლუიშ ფიგუს დრიბლინგისა და მწვავე პასის შემდეგ მცველებთან ჭიდილს მოიგებს და ბურთს თავს ან ფეხს წაკრავს. ვინაა ასეთი, „ბენფიკას“ ახალგაზრდა ფორვარდი ნუნუ გომეში?

...თუ ვერაფერს მოიგებ, ოქროს თაობაც აღარ ხარ — თქვა რუი კოშტამ და თუ ეს ასეა, მაშინ პორტუგალიის ნაკრებისთვის ევრო 2000 ერთგვარი ოქროს ბირჟა გამოდის. სინჯსაც იქ შეუმოწმებენ.

**მიხეილ სურგულაძე**



ლუიშ ფიგუ (№7), რუი კოშტა (№10) და დიმაში: ვითომ გაიბრწყინებენ?

ბარსელონა (1:4) ვალენსია

# ფიგუ, სასწრაფოდ ფიგუ!

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. II წრე



რისი იმედი აქვს „ბარსას“? ლუიშ ფიგუს დაბრუნებისა

რისი იმედი აქვს „ბარსელონას“? მეტოქეთა დამანგრეველი ლუიშ ფიგუს დაბრუნებისა და გავსებული „კამპ ნოუსი“. მხოლოდ ასე შეიძლება „ვალენსიასთან“ უკიდურესად გაუარესებული საქმის ხსნა.

ლუის ვან გაალის გუნდმა უკვე იცის, რომ სტუმრად დიდი ანგარიშით წაგების გამოსწორება შეიძლება. ასე იყო მეოთხედფინალში, „ჩელსისთან“. ლონდონში 1:3, შინ 5:1. ახლაც, დაახლოებით იგივეა გასაკეთებელი: ვალენსიაში 1:4 იყო, შინ კვლავ 5:1 სრულიად საკმარისი იქნება.

მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი რამ ფიგუს ფორმაზეა დამოკიდებული. პორტუგალიელი არც ვალენსიაში გაგვლდათ (დისკვალიფიცირებული იყო) და არც შაბათს, ესპანეთის პირველობის შეხვედრაში, „რაიო ვალეკანოსთან“ („ბარსელონამ“ წააგო 0:2) უთამაშია. „რაიოსთან“ მატჩი ფიგუმ კუნთის ტკივილის გამო გამოტოვა, რაც კატოლონიელებს ფრიად დაეტყოთ — შეტევაში იდეათა მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ.

ვარსკვლავი საწვრთნელ ცენტრს შაბათს დაუბრუნდა, მას მერე, რაც სამედიცინო შემოწმებამ დაადასტურა, რომ მისი კუნთი მოშუშებულია. ცმა რომ თქვას, ვან გაალს განაცლში იმდენი ფეხბურთელი ჰყავს, რომ ფიგუს ნაცვლად მოედანზე სხვისი გაყვანა ერთი შეხედვით პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პორტუგალიელის მოედანზე ყოფნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი ამ ნაბიჯს ვერ გადადგამს.

აი, რა თქვა ფიგუს ფაქტორზე საუბრისას „ბარსელონას“ მცველმა, სერხიმ:

„ის დღევანდელ მსოფლიო ფეხბურთში უძლიერესი მარჯვენა თავდამსხმელია და ეს აშკარადაა დამტკიცებული. ჩვენ მისი მოედანზე ყოფნა ყოველთვის გვჭირდება, ხოლო ექსტრემალურ სიტუაციებში მითუფრო“.

დღეს, მართლაც ექსტრემალური სიტუაციაა — კატალონიელებს ბრწყინვალე ფორმაში მყოფი „ვალენსიას“ კარში სამი უპასუხო გოლის შეგდება სჭირდებათ. მეორე მხრივ, ასეთი ამოცანა რისკს შეიცავს, რადგან მოწინააღმდეგე განსაკუთრებით ძლიერი სწორედ კონტრშეტევების დროსაა. დახეთ: გასულ თვეში ეროვნულ პირველობაზე, ხუთ მოგებულ მატჩში ვალენსიელებმა 17 გოლი გაიტანეს, ხოლო იმავე პერიოდში, ჩემპიონთა ლიგაში, „ლაციოსა“ და „ბარსელონას“ კარს ცხრაჯერ მოუნახეს გასალები.

„ვალენსიას“ ნახევარმცველები, გაისკა მენდიეტა, ფრანსისკო ფარინოსი, ხერარდ ლოპესი და კილი გონსალესი ჩინებულ ფორმაში არიან, ისევე, როგორც ფორვარდები მიგელ ანხელ ანგულო და კლაუდიო ლოპესი. სწორედ ამიტომაც განაცხადა „ბარსას“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა, პატრიკ კლუივერტმა: „კარგად ვიცით, რომ ისინი ბრწყინვალედ თამაშობენ და ამიტომაც პირველი გოლის გაშვების დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ“.

მასპინძლები მოედანზე, სავარაუდოდ, 4-3-3 განლაგებით გავლენ ანუ რივალდო მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლებს, ხოლო სტუმრები, ალბათ, ტრადიციულ 4-4-2-ს ითამაშებენ. საქმე ის გახლავთ, რომ აპრილში, როდესაც „კამპ ნოუზე“ იგივე მეტოქეები ერთმანეთს ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრაში დაუპირისპირდნენ და „ბარსელონამ“ 3:0 მოიგო, „ვალენსიას“ მწვრთნელმა, ეკტორ რაულ კუპერმა ჩვეული სისტემა შეცვალა და დაცვას მეხუთე კაცი მიამატა. იგივე მოხდა ჩემპიონთა ლიგაში „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. ის მატჩიც მასპინძლებმა მოიგეს — 3:0.

ამრიგად, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ როდესაც დიდ მეტოქეებთან შეხვედრაში კუპერი კრთება და დაცვას რაოდენობრივად აძლიერებს, მარცხდება, ხოლო საკუთარი თავდასხმის წახალისების შემთხვევაში იმავ დიდ მეტოქეებთან, მაგალითად „ბარსელონასთან“, იმარჯვებს.

და მაინც, არაა გამორიცხული კუპერის უმთავრესი პრობლემა ერთი კვირის წინანდელი გამარჯვების ეიფორიასთან ბრძოლა იყოს. ხუმრობა ხომ არაა, ვალენსიელებმა იციან, რომ ისტორიის მანძილზე, ევროთასებზე „ბარსელონას“ სამჯერ შეხვდნენ და სამივეჯერ დაამარცხეს.

„უდიდესი შანსი გვაქვს. ჩვენს ხელთ არსებული უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ“ — ამბობს ხერარდი.

მართლაც ახლოა: 24 მაისამდე (ფინალი პარიზში, „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება) „ვალენსიას“ ერთადერთი, დღევანდელი თამაშილა აქვს გასაძლები.

**პაპუნა ძედია**

### გაფრთხილებულნი

ბარსელონა: ფ. დე ბური (2), არნაუ, ბოგარდი, დანი, რაიციგერი, კოკუ, პუიოლი

ვალენსია: კარბონი (2), ჯუკიჩი (2), ფარინოსი (2), კილი გონსალესი (2), პელეგრინო (2), ანგულო, ილიე, პალოპი, ხუან სანჩესი, სორია, ხერარდი, კანისარესი

### დისკვალიფიცირებულნი

ბარსელონა: გაბრი (1 მატჩი)

ვალენსია: არავინ

### სავარაუდო შემადგენლობები

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ფ. დე ბური, აბელარდო, სერხი, რ. დე ბური, გვარდიოლა, კოკუ, ფიგუ, რივალდო, კლუივერტი

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, ფარინოსი, ხერარდი, მენდიეტა, კილი გონსალესი, ანგულო, კლაუდიო ლოპესი

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

## შვედეთი

V ტური. ჰალმსტადი — იორგრიტე 0:1; ტრელებორგი — ჰაკენი 2:0; ფრიოლუნდა — ელფსბორგი 1:0; ტური. აიკ — ჰამარბი 1:0; გიოტებორგი — იორებრო 4:1; ჰელსინგბორგი — გაის 2:0; სუნდსვალი — ნორჩიოპინგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| ჰალმსტადი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:1 | 12 |
| იორგრიტე | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | 12 |
| აიკ | 5 | 3 | 1 | 1 | 5:6 | 10 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ნორჩიოპინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ტრელებორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| ჰამარბი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| იორებრო | 5 | 1 | 3 | 1 | 12:9 | 6 |
| ჰაკენი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| სუნდსვალი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| ფრიოლუნდა | 5 | 1 | 1 | 3 | 1:8 | 4 |
| გაის | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |
| ელფსბორგი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:8 | 0 |

## საბერძნეთი

XXXI ტური. კალამატა — იონიკოსი 2:0; ტრიკალა — კავალა 3:1; ოფი — პანილიაკოსი 3:2; ქსანტი — ირაკლისი 3:0; ეთნიკოსი — პანაჰაიკი 2:2; აეკ — აპოლონი 3:0; არისი — ოლიმპიაკოსი 0:1; პანათინაიკოსი — პრუდეფტიკი 3:1; პაოკ — პანიონიოსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 31 | 27 | 2 | 2 | 78:17 | 83 |
| პანათინაიკოსი | 31 | 25 | 4 | 2 | 79:23 | 79 |
| ოფი | 31 | 17 | 9 | 5 | 57:39 | 60 |
| აეკ | 31 | 17 | 6 | 8 | 59:37 | 57 |
| პაოკ | 31 | 12 | 10 | 9 | 50:38 | 46 |
| არისი | 31 | 13 | 7 | 11 | 43:38 | 46 |
| პანიონიოსი | 31 | 14 | 2 | 15 | 46:53 | 44 |
| ირაკლისი | 31 | 13 | 4 | 14 | 50:55 | 43 |
| ქსანტი | 31 | 11 | 8 | 12 | 35:38 | 41 |
| კალამატა | 31 | 10 | 8 | 13 | 33:49 | 38 |
| იონიკოსი | 31 | 9 | 10 | 12 | 36:45 | 37 |
| პანაჰაიკი | 31 | 8 | 12 | 11 | 33:40 | 36 |
| ეთნიკოსი | 31 | 10 | 5 | 16 | 28:47 | 35 |
| პანილიაკოსი | 31 | 10 | 4 | 17 | 38:46 | 34 |
| კავალა | 31 | 8 | 6 | 17 | 32:55 | 30 |
| პრუდეფტიკი | 31 | 6 | 7 | 18 | 26:47 | 25 |
| აპოლონი | 31 | 6 | 6 | 19 | 27:49 | 24 |
| ტრიკალა | 31 | 5 | 6 | 20 | 31:65 | 21 |




სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა.
1/2 ფინალი. II მატჩები
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 502 | ბარსელონა-ვალენსია | 1,4 | 4,0 | 6,5 |

გერმანია. II ბუნდესლიგა
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ვალდჰოფი-მიონხენგლადბახი | 3,3 | 3,0 | 2,1 |

ბელგია. 34-ე ტური
11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | გეელი-ბრიუგე | 3,0 | 3,3 | 2,0 |
| 005 | ლომელი-სენტ ტრუიდენი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 006 | ლიერსი-ლოკერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 007 | ლიერსი-ლოკერენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 008 | ბევერენი-ბეერსხოტი | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| 009 | მუსკრონი-აალსტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 010 | მუსკრონი-აალსტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 011 | შარლერუა-ანდერლეხტი | 2,8 | 3,4 | 2,0 |
| 012 | სტანდარდი-ჰარელბეკე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 013 | სტანდარდი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 014 | გენკი-მეხელენი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 015 | გენტი-ვესტერლო | 1,45 | 3,6 | 5,0 |
| 016 | გენტი-ვესტერლო 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,1 |

ავსტრია. 33-ე ტური
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 022 | შტურმი-ტიროლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |

დანია. 29-ე ტური
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 024 | ბრიონდბიუ-ოდენსე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 025 | ორჰუსი-სილკებორგი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 026 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 027 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 028 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1,5 | 4,0 | 5,0 |
| 029 | ვაილე-ჰერფიოლგე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

ნორვეგია. მე-7 ტური
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | ბრანი-ვოლერენგა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 031 | ბრანი-ვოლერენგა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 032 | ჰაუგესუნდი-მოსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 033 | მიოლდე-ტრომსიო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 034 | რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 035 | რუსენბორგი-ოდ გრენლ. 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 036 | სტაბეკი-ბრინი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 037 | ვიკინგი-სტარტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 038 | ვიკინგი-სტარტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

ჩეხეთი. თასის ფინალი (ნეიტრალურზე)
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 039 | ლიბერეცი-რატიშკოვიცე | 1,5 | 3,5 | 5,3 |

პოლონეთი. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები
11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 040 | რადომსკო-ამიცა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 041 | პოლონია-ვისლა | 1,8 | 2,9 | 4,4 |

შვეიცარია. თასის 1/2 ფინალი
11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 042 | ლოზანა-ლუგანო | 1,5 | 3,4 | 5,6 |

შვედეთი. თასის 1/2 ფინალი
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 043 | გიოტებორგი-იორგრიტე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 044 | გუნილსი-აიკ | 4,4 | 3,4 | 1,6 |

კალათბურთი. 1/4 ფინალი
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | ლეიკერსი-ფინიქსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 804 | ფილადელფია-ინდიანა | 1,5 | 12,0 | 2,0 |

11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 805 | იუტა-პორტლენდი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

ჰოკეი. 1/4 ფინალი
10 მაისი

807 ტორონტო-ნიუ ჯერსი

11 მაისი

808 ფილადელფია-პიტსბურგი

ჰოკეი. მჩ. 1/4 ფინალი
11 მაისი

813
814
815
816

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპ რტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის რითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდ გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიცი ტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტებ ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზ სტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამ კრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტ ლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატ შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნ გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დ დებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მ გების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფ ციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კო ფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავ 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შ ძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩ შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არ მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0- ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზ სთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპ გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორ სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრა ლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარ 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარი ნტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტან ლი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზ რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მ ტჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობ ში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩ სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვ გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გად ტანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმ ბულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკ რი შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქ გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარ ბის შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბ ლეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვ დრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლებ გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებულ წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გა როტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიც მა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ი ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებუ ლად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლ გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარი ანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლე ბა და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მო გება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, ა შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ა გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამა შეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შე ტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებუ ლია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუ ხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდე „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებ ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# დღეს ნაკრებში მატჩებას ელიან

ევროპის 2003 წლის ჩემპიონა- ს საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზა- ბას საქართველოს ეროვნული ნაკ- ბი კვლავაც ბათუმში განაგრძობს. რების თავს ახალი არაფერია, თუ ჩავთვლით იმას, რომ ამ დღეებში ნდის კაპიტნად სდასუელი ირაკლი მტარია აირჩიეს. ზურაბ ტომარა- განკარგულებაში ახლაც ათი კა- თბურთელია. ბიჭები დღეში ორჯერ, ლა-საღამოს ვარჯიშობენ. უკლებლივ ლა მათგანი თავს ჯანმრთელად ძნობს.

დღეს საღამოს თბილისში სლოვე- ურ „სლოვანში“ მოთამაშე ქართვე- ბს ელოდებიან. მესამე ადგილისთვის ძოლაში „სლოვანი“ თუ მეორე შე- ედრასაც დათმობს „ოლიმპიასთან“, უბის ხელმძღვანელობა ვლადიმერ ისას, ნიკა ცქიტიშვილსა და დავით რეხელიძეს გაათავისუფლებს და ისი- უმალ საქართველოსკენ გამოსწე- ნ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ასეც

მოხდება, რადგან „სლოვანი“ ნამდვი- ლად არ არის იმ ძალის, „ოლიმპიას“ გაუწიოს წინააღმდეგობა. გუნდი წი- ნასწარ შეჰგუებია წაგებას და, რო- გორც შევიტყვეთ, ბოლო დროს რიგი- ანად აღარც ვარჯიშობს.

ლეგიონერები მეორე დილასვე ბა- თუმს მიაშურებენ და ნაკრებთან ერთად სულ ცოტა, სამი-ოთხი ვარჯიშის გა- მართვასაც მოასწრებენ. სწორედ ზღ- ვისპირეთში შეამოწმებენ ზურაბ ტო- მარაძე და მისი თანაშემწე ნუგზარ კა- ნდელაკი ბიჭების მზადყოფნას.

შედარებით რთულადაა თურქულ „ულქერში“ მოთამაშე ზაზა ფაჩულია- ს საქმე. სადღეისოდ გადაჭრით ვერა- ვინ იტყვის, ჩამოვა თუ არა ზაზა. ფა- ჩულიას კონტრაქტი თურმე ისეთი არ გახლავთ, რომ ქართულმა მხარემ „ულქერს“ ოფიციალურად მოსთხოვოს მისი გამოშვება. ეს მთლიანად თურ- ქული კლუბის ხელმძღვანელთა გადა- საწყვეტია.

„ულქერი“ ახლა თავის ჩემპიონა- ტში პლეი ოფის ნახევარფინალურ შე- ხვედრებს მართავს ბურსას „თოფა- შთან“. ჩვენებურს სისტემატურად ათა- მაშებს მწვრთნელი მურათ დიდინი და ფაქტია, რომ ასე იოლად ქართველს ვერ შეელევა. მართალია, „ულქერი“ უკვე 0:2 აგებს სერიას, მაგრამ შანსი, თუნდაც თეორიული, მაინც შერჩენია და რა დიდი მარჩიელობა უნდა, რომ ფაჩულიას ვადამდე არ გამოუშვებს. ქა- რთველებისთვის ახლა იდეალური ვა- რიანტი ისაა, რომ დღეს „ულქერი“ მესამე მატჩშიც დამარცხდეს „თოფა- შთან“ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშოს. ამ შემთხვევაში ფაჩუ- ლიას საქართველოში ჩამოყვანა ერ- თიორად გაიოლდება. საეჭვოა, რომ მე- რეც წინააღმდეგნი წავიდნენ თურქე- ბი, თუმც ამის ყველანაირი უფლება რომ აქვთ, ესეც ნაღდია.

ეროვნული ნაკრები სავარაუდოდ 13 მაისს ჩამოვა თბილისში. საბოლოო, თორმეტკაციან შემადგენლობასაც, ალბათ, თბილისში დაასახელებენ მწვრთნელები. 14-ში გუნდი მოსკოვში გაფრინდება, იქ ერთ დღეს შეყოვნდება და მერე დანიაში გაემგზავრება.

**გიორგი ბიკაშვილი**

# გააგდებენ თუ შეიწყალებენ?

ვერის ბაღში გადადებული თსუ-„გო- ს“ შეხვედრაც გაიმართა და ამით გუ- ებმა საბოლოოდ დაასრულეს VII-XII გილებისთვის თამაში. უნივერსიტეტე- ბმა ქართლელებს 93:83 მოუგეს, თუმც ტურნირო ვითარებაზე ამ შედეგს მნი- შვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ამრიგად, გამოვლინდა ის ორი გუ- დი, რომელთაც უმაღლესი ლიგიდან ვარდნის საფრთხე ემუქრებათ. დე- ლების მიხედვით ასკ-მ და „გორმა“ რველ ლიგაში უნდა ჩაინაცვლონ, ყო- ლივე ფედერაციის გენერალურმა მდი- ნმა აკაკი მეგრელაძემაც დაგვიდას- ტურა, თუმც დაზუსტებით ვერ გვი- თრა, რა ბედი ელით ამ კლუბებს. ბოლოო სიტყვა ფედერაციის აღმას- კომზეაო, დაამატა მეგრელაძემ.

საქართველოს ჩემპიონატი — 10 ტური — VII-XII ადგილები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 32 | 19 | 13 | 2801:2676 | 51 |
| შევარდენი | 32 | 15 | 17 | 2285:2420 | 46 |
| დინამო | 32 | 14 | 18 | 2452:2550 | 45 |
| სსუ | 32 | 6 | 26 | 2263:2884 | 38 |
| ასკ | 32 | 3 | 29 | 2256:2889 | 35 |
| გორი | 32 | 6 | 26 | 2002:2370 | 34 |

*გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, შევარდენს და დინამოს — თითო-თითო*

# ფიბა ამკაცრებს, ადგენს და ადგილს იცვლის

**მიუნხენში** სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) ცენტრალური საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი დაწყვეტილებები მიიღო.

უპირველესად დადგინდა ის, რომ ფიბა გაამკაცრებს დოპინგ-კონტროლს. ქამდე კალათბურთელებს მხოლოდ ოფიციალური ტურნირების დროს ამოწმე- ბნენ. ამიერიდან ფიბა-ს ანტი-სადოპინგო კომისიის წევრებს უფლება აქვთ უფრთხილებლად, ნებისმიერ დროს მიადგნენ ნებისმიერ გუნდს ვარჯიშისა თუ შეკრებაზე და ნებისმიერი კალათბურთელი შეამოწმონ დოპინგზე. ტესტები შეიძლება აგრეთვე ჩატარდეს ამხანაგური მატჩების და არაოფიციალური ტურ- ნირების დროსაც.

ფიბა-მ დაადგინა ვაჟთა და ქალთა შორის მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატე- ბის გამართვის ვადები. ვაჟთა მე-14 მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება 2002 წლის 29 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ინდიანაპოლისში. ქალთა ანალოგიური ტურნირი მოეწყობა 2002 წლის 5-16 სექტემბერს ჩინეთის ოთხ ქალაქში.

ფიბა მალე შტაბ-ბინას შეიცვლის. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციას, დაარსების დღიდან ანუ 1932 წლიდან სულ სამი შტაბ-ბინა ჰქონდა: 1932-1940 წლებში — რომში, 1940-56 წლებში — ბერნში, 1956 წლიდან დღემდე — მიუნხენში. ცოტა ხნის წინ ფიბა-მ ადგილსამყოფელის შეცვლა გადაწყვიტა და კანდიდატ ქალაქებს თავთავიანთი პროგრამა-პროექტების წარმოდგენა დაავალა. ფიბა-ს შტაბ-ბინის თავისთან გადატანას რვა ქალაქი ცდილობდა: ესპანური მადრიდი და ბადალონა, შვეიცარიული ჟენევა და ლოზანა, გერმანული ბერლინი და მიუნხენი, აგრეთვე ანდორა და ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა. ყველა კანდიდა- ტი ქალაქის პრეზენტაციის შემდეგ ცენტრალურმა საბჭომ დიდხანს ითათბირა და დაადგინა: ფიბა-ს ოფისი შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გადავა. მიუნხენიდან ჟენევაში გადასახლება ეტაპობრივად მოხდება და 2002 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

# მენეგინმა ბარსელონა უარყო და ფორტიტუდოსკენ გაიხედა

**ესპანეთის** „ბარსელონა“ უკმაყოფილოა თავის უკანახაზელებით და ამ რგოლის გაძლიერება გადაუწყვეტია. კატალონიელებმა თვალი იტალიის ნაკრე- ბის და „ვარეზეს“ მსროლელ ანდრეა მენეგინს დაადგეს. 26 წლის ორმეტრიან იტალიელს თავის გუნდის დატოვება გადაწყვეტილი აქვს, რადგან წლეულს „ვარეზემ“ ყველაფერი წააგო, რისი წაგებაც შესაძლებელი იყო.

მიუხედავად ამისა, მენეგინმა შორს დაიჭირა „ბარსელონას“ წინადადება. კარგ კონტრაქტს კი მთავაზობენ, მაგრამ აქვე, იტალიაში უკეთესი მეგულებაო — დასძინა კალათბურთელმა. გაირკვა, რომ მენეგინს ბოლონიის „ფორტიტუ- დოს“ გაუბა მოლაპარაკება და მისი ამ გუნდში გადასვლაც მხოლოდ დროის საქმეა ყოფილა.

უარმიღებულმა „ბარსელონამ“ კი ესპანეთში დაიწყო უკანახაზელების ძებნა. ამ კლუბს 20 წლის და 182-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი რაულ ლოპესი მოეწონა, თუმცა მისი აყვანა ძვირი დაჯდება: ამ კალათბურთელს ბადალონას „იუვენტუდთან“ აქვს კონტრაქტი, რომელსაც ვადა 2001 წლის ივნისში გასდის.

## თურქეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ეფესი | 2 |
| ბეშიქთაში | 1 |

# კიდევ ვითამაშოთ, ძმაო!

**ბეშიქთაში 91:74 ეფესი**

**ბეშიქთაში:** ერიუზი, გიულერი (8), ფ. ბეშოქი (21), ტაში, ბლექველი (21), ელი (22), თამსოზი (4), აიდინი, პრაშკევიჩუსი (15)

**ეფესი:** მულაომეროვიჩი (14), თურქოღლუ (14), ონანი (1), სანჯარი, ვექილოღლუ (4), ქუთლუაი (15), დალი (2), ჰ. ბეშოქი (6), ვინსლოუ (5), დრობნიაკი (13)

ჰუსეინ ბეშოქი, ისევე, როგორც მისი „ეფესი“, ნახევარფინალური სერიის ვადაზე ადრე დასრულებას და ფინალისთვის მზადების ნაადრევად დაწყებას ემურებოდა. არ გამოვიდა, რადგან ჰუსეინის უმცროსმა ძმამ, ფარუკ ბეშოქმა და მისმა „ბეშიქთაშმა“ დიდი ბრძოლა გაუმართეს მრისხანე მეტოქეს და გვარიანი სირცხვილიც აჭამეს. ფარუკ ბეშოქმა ამ საქმეში უდიდესი როლი ითამაშა: კრიტიკულ მომენტში ზედიზედ ორი სამქულიანი ჩაუგდო „ეფესს“ (სულ მატჩში — ოთხი) და ახლა ამ წყვილიდან ფინალში გასულის ვინაობა 11 მაისამდე ნაღდად უცნობი იქნება. ხოლო თუ „ბეშიქთაშმა“ ამ დღესაც მოიგო, მაშინ სერიის გამარჯვებულს გადამწყვეტი მატჩი გამოავლენს, რომელიც 13 მაისს გაიმართება.

არადა, თავიდან ისეთი პირი უჩანდა, რომ „ეფესი“ მოიგებდა და სერიასაც თავის სასარგებლოდ დაასრულებდა. იბრაჰიმ ქუთლუაიმ პირველ ტაიმში 14 ქულა გააკეთა, ხოლო „ეფესი“ ერთხანს 11 ქულითაც იგებდა. მერე ფარუკ ბეშოქის ჯერი დადგა და „ბეშიქთაშმა“ ტაიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა — 45:43.

„ეფესმა“ პირწმინდად დათმო მეორე ტაიმის საწყისი წუთები და მეტოქეს რამდენიმე იოლი ბურთი ჩააგდებინა. ქუთლუაიმ შესვენების შემდეგ ერთადერთი ქულის მოპოვებაღა მოახერხა. ფარზე გააქტიურებულმა პრედრაგ დრობნიაკმა ხუთი პერსონალური მიიღო, ხოლო გამთამაშებელმა დამირ მულაომეროვიჩმა გუნდური თამაში ვერ ააწყო, თან ხუთჯერ დაკარგა ბურთი, რაც მისთვის საკმაოდ ბევრია. „ბეშიქთაშში“ კი ყველა კარგად თამაშობდა, განსაკუთრებით ამერიკელები ჯეიმს ბლექველი და ბად ელი (11 მოხსნა). „ეფესი“ ადრევე შეეგუა მარცხს და თამაში სათადარიგოებს დაამთავრებინა.

## პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ორჯერ დამარცხებული დანებებას არ აპირებს



REUTERS ინდიანაპოლისიდან

ინდიანა — ფილადელფია. ინდიანელი ჯალენ როუზი ტაირონ ჰილს გაექცა

## აღმოსავლეთი

8 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 2 |
| ფილადელფია | 0 |

**ინდიანა 103:97 ფილადელფია**

**ინდიანა:** ჯეკსონი (7 ქულა, 14 პასი), მილერი (19), როუზი (30), დევისი (2), სმიტსი (14); კროშერი (20), მაკკეი (4), ბესტი (4), პერკინსი (3), ტაბაკი

**ფილადელფია:** სნოუ (2), აივერსონი (28 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), ლინჩი (2), ჰილი (15), რეთლიფი (15); გეიგერი (14), მაკკი (13), კუკოჩი (8), ოლი

„ფილადელფიამ“ ინდიანაპოლისში მეორე შეხვედრაც დათმო და გვარიანად გაირთულა მდგომარეობა. მართალია, ორ თამაშში გამარჯვება სერიის მოგებას არ ნიშნავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფილადელფიელთა მონდომება ინდიანელთა გამოცდილებას ვერც ამჯერად გადაწონის. ყველაფერი იქით მიდის, რომ განმეორდება შარშანდელი პლეი ოფის სერია, სადაც „ინდიანამ“ იოლად დასცა „სიქსერზი“. „ორი გამარჯვება ბევრს არაფერს წყვეტს, პირიქით, ჩვენ მეტი სტიმული გვაქვს სათამაშოდ. ნურვინ იფიქრებს, მათ იოლად ჩავბარდებით“ — ორ მარცხს არ ეპუება ფილადელფიელთა ცენტრი თეო რეთლიფი. მას და მის თანაგუნდელებს იმედის ნაპერწკალი კვლავ უღვივით, მაგრამ თუ ისინი შინაც ისე გაირჯებიან, როგორც სტუმრად, აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში თამაშის ოცნება ოცნებადვე დარჩება.

„ინდიანას“ არც მეორე მატჩის მოგება გასჭირვებია. კვლავ ივარგა ჯალენ როუზმა, რომელზეც ინდიანელები დიდ იმედს ამყარებენ. წინა შეხვედრაში 40 ქულის გამკეთებელი რეჯი მილერი ამჯერად 19-ით შემოიფარგლა, უფრო ალბათ იმიტომ, რომ თვითონ გუნდი მის თავგამოდებას ნაკლებად საჭიროებდა. სამაგიეროდ, ეს თამაში სათადარიგო თავდამსხმელის, ოსტინ კროშერის ბენეფისად იქცა. მან თავის საპლეიოფო კარიერაში სარეკორდოდ ბევრ, ოც ქულას მოუყარა თავი.. სტუმართაგან საუკეთესო ისევ და ისევ ალენ აივერსონი იყო, რომელიც დისკვალიფიკაციას გადაურჩა. აივერსონმა პირველ თამაშში მსაჯის საცემად გაიწია და ხელითაც შეეხო, რაც მას, როგორც წესი, ერთთამაშიან დისკვალიფიკაციას უქადდა, თუმც ლიგის მამებმა დაინდეს „ფილადელფია“ და აივერსონი მომდევნო თამაშშიც გამოჩნდა მოედანზე. როგორც ყოველთვის, იგი ახლაც საუკეთესო იყო თავისიანთა შორის. მთელი მატჩის სიმძიმემაც მის მხრებზე გადაიარა. აივერსონი ბურთებს აგდებდა, პასებს არიგებდა და ეს 183-სანტიმეტრიანი კაცი ბურთებსაც ხსნიდა. „იგი ფენომენალური მოთამაშეა, ვინ მეურვეობს, ამას არ დაგიდევთ, ნებისმიერის წინააღმდეგ შეუძლია 30 ქულის გაკეთება“ — ამბობს ინდიანელი მარკ ჯეკსონი. ლიგის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ გამთამაშებელს მეტოქის შეფასებაში არაფერი შეეშლება. აივერსონი მართლაც თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. მისი, როგორც მოთამაშის, ერთადერთი ნაკლი ის გახლავთ, რომ დაბალია და დაცვაში მაღალ უკანახაზელებს ვერ უმკლავდება. ამ შემთხვევაში მილერისა და როუზის წინააღმდეგ გაუჭირდა.

თვითონ თამაში ინდიანელთა სრული უპირატესობით წარიმართა. მასპინძელმა რეჯი მილერმა თავისი 19-ქულიანი მონაგარიდან 16 პირველ მეოთხედში გააზერხა და ეს პერიოდი თავის გუნდს 31:26 მოაგებინა. პირველი ტაიმის შემდეგ სხვაობამ 15 ქულას უწია. კიდევ ერთი თორმეტწუთეულის შემდეგ „ფილადელფია“ მეტოქეს უკვე 21 ქულით ჩამორჩებოდა. ბოლო მეოთხედში, რომელიც ფორმალობად იქცა, სტუმრებმა ექვს ქულამდე შეამცირეს სხვაობა და სამარცხვინოდ წაგებას გადაურჩნენ.

სერიის მომდევნო თამაში ფილადელფიაში 10 მაისს გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ დაპატიჟა მარიკამ?

## ზე 12. მეთერთმეტე ტური

5 მაისი

**კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 22:13 სიდნეი (ავსტრალია)**
კრაისტჩერჩი: 4ლ — ვუნიბაკა (2), მაკდონალდი, მარშალი; 1გ — მაკდონალდი
სიდნეი: 1ლ — უორნერი; 1გ. და 2ს — ბარკი

**იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 34:27 ოკლენდი (ახალი ზელანდია)**
იოჰანესბურგი: 3ლ — ვანტერი, უილიამსი, ვოსი; 2გ. და 5ს — კოენი
ოკლენდი: 2ლ — ჰოულეტი, ბლოუერსი; 1გ. და 5ს — კეშმორი

6 მაისი

**დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 31:44 ჰამილტონი (ახალი ზელანდია)**
დურბანი: 3ლ — ჯილინგემი, კეიზერი (2); 2გ. და 4ს — დიუ ტუა
ჰამილტონი: 5ლ — რენდლი (2), რეიანა, მილერი, მაკა; 5გ. და 3ს — ჯექსონი

**პრეტორია (სამხრეთ აფრიკა) 40:42 დანიდინი (ახალი ზელანდია)**
პრეტორია: 3ლ — დე კოკი, უელში, კრიუგერი; 2გ. და 7ს — დე ბეერი
დანიდინი: 5ლ — უილსონი (2), კელეჰერი, ტიპოკი, კრონფელდი; 4გ. და 3ს — ბრაუნი

**კანბერა (ავსტრალია) 38:32 ბრისბენი (ავსტრალია)**
კანბერა: 4ლ — ბართოლომეუსი, მორტლოკი, კეფერი, ლარკჰემი; 3გ. და 4ს — მორტლოკი
ბრისბენი: 2ლ — კოკბეინი, კორდინგლი; 2გ. და 6ს — დრემი

7 მაისი

**კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) 43:23 ველინგტონი (ახალი ზელანდია)**
კეიპტაუნი: 4ლ — პაულსი, ბრენდი, მარე, ფან სტრაატენი; 4გ. და 5ს — ფან სტრაატენი
ველინგტონი: 2ლ — კალენი (2); 2გ — ჰოლუელი, ლილი; 3ს — ჰოლუელი (2), ლილი

**მსოფლიოს** უძლიერეს საკლუბო ტურნირში მეთერთმეტე ტური გაიმართა და ორი ნახევარფინალისტიც გამოვლინდა.

ეს თეორიულად, თორემ კანბერასა და კრაისტჩერჩს პრაქტიკულად უკვე წინა ტურში ჰქონდათ თავი ქუდში. ამ უქმეებზე ისინი ერთმანეთს შეხვდებიან და პირველადგილოსნის ვინაობასაც გაარკვევენ. ნახევარფინალში ორივე შინ ითამაშებს, რადგან სხვებს მათი გასწრება აღარ შეუძლიათ. ვინ ისტუმრებენ ისინი, ჯერჯერობით უცნობია. ამას მხოლოდ ბოლო ტურში შევიტყობთ. საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის თეორიულ შანსს ერთბაშად ექვსი გუნდი ინარჩუნებს, მაგრამ, კეიპტაუნისა და ბრისბენის სათვალავიდან ამოგდება, ალბათ, შესაძლებელია. თუმცა რაღა დარჩა, მოვიცადოთ ამ უქმეებამდე და ვნახოთ. მანამდე კი მეთერთმეტე ტურის შესახებ გიამბობთ.

„ყოველი ქულისთვის მძიმე ბრძოლა გადაგვხდა. სიდნეელებმა დიდი ზეწოლის ქვეშ მოგვაქციეს და პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა" — თქვა კრაისტჩერჩელთა კაპიტანმა ტოდ ბლეკედერმა ტურნირის ნახევარფინალში ზედიზედ მესამედ გასვლის შემდეგ. ზე 12-ის ბოლო ორი წლის ჩემპიონისთვის ეს მატჩი საუკეთესო ნამდვილად არ იყო, მაგრამ სასურველი ხუთი ქულა მაინც მოიპოვეს მასპინძლებმა. წინა ტურში მიღებული ტრავმის გამო მათ არ ჰყავდათ დამრტყმელი ენდრიუ მერთენსი და ეს დაეტყო კიდეც გუნდს. ახალგაზრდა აარონ მაჯერმა მერთენსის სრულფასოვნად შეცვლა მხოლოდ დაცვაში შეძლო. დარტყმებს ის და ლეონ მაკდონალდი ახორციელებდნენ. მაგრამ ჯამში მხოლოდ ერთხელ უწიეს მიზანს, როცა მაკდონალდმა ვუნიბაკას პირველი ლელო გარდასახა. ანგარიში მეტიუ ბარკმა გახსნა საჯარიმოთი, რასაც მალე მაკდონალდის ლელო მოჰყვა. უპირატესობას აშკარად მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ ისინი ბევრ შეცდომას უშვებდნენ, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. უორნერის ლელო ბარკმა გარდასახა, ზედ საჯარიმოც დაურთო და სიდნეი 13:5 დაწინაურდა. შესვენებამდე ჯასტინ მარშალმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მეორე ტაიმში კი მარიკა ვუნიბაკამ გაილაღა და სტუმრები ორჯერ დაალელოვა. აღსანიშნავია, რომ დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა კრაისტჩერჩელმა სკოტ რობერტსონმა, რომელმაც ეგებ მალე „ოლ ბლექსის" რიგებში ჯოშ კრონფელდის ადგილიც დაიკავოს.

ძალიან დაძაბული მატჩი გაიმართა იოჰანესბურგში, სადაც „კატები" ოკლენდის „ლურჯებს" მასპინძლობდნენ. ორივე გუნდი ნახევარფინალის საგზურისთვის იბრძვის და მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. თუმცა სტუმრები დამარცხების შემთხვევაშიც ინარჩუნებდნენ შანსს. შეხვედრა ძალიან ლამაზი გამოდგა. ორივე გუნდი ბევრს უტევდა და ამას მშვენივრად აკეთებდა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი უდავოდ იოჰანესბურგის უკანახაზელი ტინუს დელპორტი იყო, რომლის „ქურციკების" შემადგენლობაში აყვანასაც სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ნიკ მალეტს უკვე ბევრი ურჩევს. დელპორტის მაქებართა შორის უპირველესი „კატების" დამრიგებელი ლორი მეინსი გახლავთ და ეს არცაა გასაკვირი. მართალია, დელპორტს ამჯერად ლელო არ გაუტანია, მაგრამ თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო და დაცვაშიც ჩინებულად გაისარჯა. ძირითადი დროის გასვლის შემდეგ მასპინძლები 34:22 იგებდნენ, მაგრამ ოკლენდმა მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე მეორე ლელოს გატანაც შეძლო და პრემიალური ქულაც მოიპოვა, რაც მეტად საჭირო იყო.

გათამაშების ფსკერის ბინადრებმა — დურბანმა და ჰამილტონმა კარგი, ემხიანი ბურთაობით კი დაატკბეს მაყურებელი და ლელოებიც ბლომად გაიტანეს, მაგრამ ამ თამაშის შედეგს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია და ჩვენც გვერდი ავუაროთ.

აი, პრეტორიამ კი, ჯერ რომ არ მოუგია, ძალიან ივაჟკაცა და მესამე ადგილზე მყოფი დანიდინი ლამის დაამარცხა. „მთიელები" ახლა სიდნეის ხუთქულიანი ნამატით ესტუმრებიან. წესით და რიგით, „ხარებთან" მატჩი ყველა ძლიერი გუნდისთვის უბრალო გასეირნებაა და ყველა იოლადაც იმარჯვებს დიდი ანგარიშით. დანიდინს კი ბევრი ოფლისღვრა, ნერვიულობა და ბოლო წამებზე ტონი ბრაუნის მტკიცე ფეხი დასჭირდა გასამარჯვებლად. არა, სტუმრებს წითელი ფერის ფორმები ნამდვილად არ ეცვათ. „ხარები" აგრერიგად რამ გააცოფა ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებმა პირველი ტაიმი დიდი ალმავლობით ჩაატარეს და 20:13 მოიგეს. მათ მეორე ტაიმშიც იბრძოლეს და მსაჯის მიერ წამატებული მეოთხე წუთისთვის 40:39 იგებდნენ კიდეც. მაგრამ აქ ტონი ბრაუნმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა ზუსტად და თავისიანებს მოაგებინა. შეხვედრის გმირი კი უდავოდ ჯეფ უილსონი იყო, რომელმაც ორი ულამაზესი სოლო-ლელო გაიტანა.

ავსტრალიურ დერბიში კანბერამ გაიმარჯვა და ბრისბენს საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის შანსი პრაქტიკულად მოუსპო. არადა, „ქვიზლენდელ წითლებს" ოთხი ქულა ლამის თავიანთი ეგონათ, მაგრამ... პირველ ტაიმში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. ბურთს სულ ისინი ფლობდნენ და ბართოლომეუსმა, მორტლოკმა და კეფერმა სამი ლელო გაუტანეს მომხდურებს. ამას მორტლოკმა ორი გარდასახვა და სამი საჯარიმოც მიამატა, რასაც ბრისბენმა ოდენ დრემის სამი საჯარიმოთი უპასუხა და ტაიმი 28:9 დასრულდა. შესვენების შემდეგ ბრისბენმა უხეშობას უკლო (რისთვისაც საწყის ორმოცწუთეულში 10 წუთი უმცირესობაში გაატარა), სამაგიეროდ, კანბერამ უმატა. შონ დრემმაც კიდევ სამი საჯარიმო მიითვალა და კოკბეინმა ლელოც გაიტანა, როცა რიცხვნაკლულნი უკვე მასპინძლები იყვნენ. მერე კორდინგლიმაც გამოიჩინა თავი და დრემის გარდასახვის წყალობით წინ ბრისბენი გავიდა — 32:31. მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთზე სტივენ ლარკჰემმა იყოჩაღა და ლელოთი კანბერას ერთბაშად ხუთი ქულა შესძინა.

ველინგტონი კეიპტაუნს ჯონა ლომუსა და ტანა უმაგას გარეშე შეებრძოლა და ძალიან უსუსურადაც გამოიყურებოდა თავისი ოლბლექსური ფრთების გარეშე. მათ არყოფნაში ლიდერობა კრისტიან კალენმა იტვირთა და ორი ლელოც გაახერხა, მაგრამ ეს ძალიან ცოტა აღმოჩნდა ბობოქარი მასპინძლების მოსათოკად. თუმცა მატჩი სტუმრებმა უკეთ დაიწყეს და მალე 6:0 დაწინაურდნენ. ტაიმის შუაწელში ანგარიში თანაბარი იყო (16:16), მაგრამ მერე ბრენდიმ გაიტანა ლელო და ტაიმიც კეიპტაუნმა მოიგო (23:16). აღსანიშნავია, რომ შვიდკაცაში გაწაფული ბრენდი მინდორზე მეათე წუთზე შევიდა. მან მასპინძელთა დაშავებული კაპიტანი კორნ კრაიჯი შეცვალა. შესვენების შემდეგ კი კეიპტაუნმა ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა და ველინგტონს ნახევარფინალში მოხვედრა სათუო გაუხადა. მით უმეტეს, რომ ლომუ დისკვალიფიკაციის გამო ვერც პრეტორიაში ითამაშებს.

**გაიოზ თალაკვაძე**



კეიპტაუნი — ველინგტონი. ორი ლელოს გამტანი კრისტიან კალენ[…] მასპინძელ შონ რუს გაურბის

### ყველაზე შედეგიანები

სტირლინგ მორტლოკი (კანბერა) — 160 ქ[…]
მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 146
ტონი ბრაუნი (დანიდინი) — 144
ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი) — 1[…]
ლუის კოენი (იოჰანესბურგი) — 118

### საუკეთესო მელელოეებ[…]

ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 11
ბრეიტონ პაულსი (კეიპტაუნი) — 10
მარიკა ვუნიბაკა (კრაისტჩერჩი) — 9
კალებ რალფი (კრაისტჩერჩი) — 8
კრისტიან კალენი (ველინგტონი) — 8

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კანბერა | 10 | 8 | 0 | 2 | 7 | 2 | 376:184 |
| კრაისტჩერჩი | 10 | 8 | 0 | 2 | 5 | 1 | 357:276 |
| დანიდინი | 10 | 6 | 0 | 4 | 6 | 1 | 305:262 |
| ოკლენდი | 10 | 6 | 0 | 4 | 3 | 2 | 271:229 |
| ველინგტონი | 10 | 6 | 0 | 4 | 4 | 0 | 275:282 |
| იოჰანესბურგი | 10 | 6 | 0 | 4 | 1 | 2 | 267:331 |
| კეიპტაუნი | 10 | 5 | 1 | 4 | 3 | 1 | 266:245 |
| ბრისბენი | 10 | 5 | 0 | 5 | 3 | 1 | 274:282 |
| სიდნეი | 10 | 4 | 0 | 6 | 2 | 3 | 266:231 |
| ჰამილტონი | 10 | 3 | 0 | 7 | 4 | 4 | 254:289 |
| დურბანი | 10 | 1 | 1 | 8 | 0 | 2 | 215:301 |
| პრეტორია | 10 | 0 | 2 | 8 | 0 | 2 | 184:369 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მე[…] ლელოს გატანისთვის, მეექვსეში […] შვიდი ან ნაკლები ქულით დამარ[…]ხებისთვის მიკუთვნებული პრემიალ[…]რი ქულებია*

### მეთორმეტე ტური

12 მაისი

კრაისტჩერჩი — კანბერა
პრეტორია — ველინგტონი
სიდნეი — დანიდინი

13 მაისი

დურბანი — კეიპტაუნი
იოჰანესბურგი — ჰამილტონი
ბრისბენი — ოკლენდი

---

### ევროპის თასი

ნახევარფინალი

6 მაისი

**ტულუზი (საფრანგეთი) 25:31 მანსტერი (ირლანდია)**
ტულუზი: 1ლ — კაზალბუ; 1გ — მარფენგი; 6ს — მარფენგი (5), უეი
მანსტერი: 3ლ — ჰეიესი, ოგარა, ჰოლანდი; 2გ. და 4ს — ოგარა

7 მაისი

**ნორტჰემპტონი (ინგლისი) 31:28 ლიანელი (უელსი)**
ნორტჰემპტონი: 2ლ — ბეიტმენი, კოენი; 7ს — დოისონი (6), გრეისონი
ლიანელი: 1ლ — ჯეიმსი; 1გ. და 7ს — ჯონსი

# გავიდა, დაარტყა, გაიტანა...

**ზე 12-ის** ნახევარფინალამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ევროპის თასი ფინალისტები კი უკვე გამოვლინდნენ. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ინგლისური „ნორტჰემპტონი" და ირლანდიური „მანსტერი" შეხვდებიან.

„ჩვენი ფავორიტობის დამტკიცება ვერ შევძელით. მეტოქემ კი ბრწყინვალედ ითამაშა, მაშინაც კი, როცა კაცნაკლული იყო" — თქვა მარცხის შემდეგ „ტულუზის" სამმეოთხედელმა და საფრანგეთის ნაკრების წევრმა სედრიკ დებროსმა. არადა, თითქოს მასპინძლები მართლაც უფრო ძლიერები იყვნენ და უნდა მოეგოთ კიდეც. მატჩის მეტი წილი მათი უპირატესობით წარიმართა. „ტულუზის" შერკინება „მანსტერისას" აშკარად სჯობდა და ამის ხარჯზე ფრანგებს ლელოს გატანის უამრავი მომენტიც ჰქონდათ. თუმცა ტულუზელები ხშირად ცდებოდნენ, ხშირად ჯარიმდებოდნენ და ამიტომაც ევროპის თასის ფინალი უიმათოდ ჩაივლის.

პირველ ტაიმში მასპინძლები ძირითადად ცენტრიდან ცდილობდნენ სტუმართა დაცვის გარღვევას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში ირლანდიელები ჯარიმდებოდნენ და ასე შლიდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. შედეგად „ტულუზმა" ხუთი საჯარიმოთი 15 ქულა მიითვალა. ანგარიში ოგარამ გახსნა. მან შესვენებამდე კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა, ჰეიესმაც თავისიანების ერთ-ერთი



ფრანგთა ძლევით გახარებული ირლანდიელები ევროპის თასს ეპოტინებიან

იშვიათი შეტევა ლელოთი დააგვირგვინა და ტაიმი 15:11 დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს სულ მცირე ოთხჯერ მაინც შეეძლოთ მეტოქის სალელოე მოედანზე ბურთიანად შეღწევა, მაგრამ...

მეორე ორმოცწუთეული ახალდაწყებული იყო, როცა შოტლანდიელმა მსაჯმა ფლემინგმა „მანსტერი" 10 წუთის განმავლობაში 14 კაცით დატოვა. თუმცა ირლანდიელები მედგრად დადგნენ და მხოლოდ სამი ქულა დაანებეს მოწინააღმდეგეს. ოგარამ კი მანამდე და მერე ორი საჯარიმო შეაგდო და ანგარიში 18:17 გახადა. მალე მანვე მშვენიერი ლელო გაიტანა, რასაც ჰოლანდის მიერ ტულუზელთა პასის ჩაჭრა და „მანსტერის" მესამე ლელო მოჰყვა. ფრანგებმა კი მხოლოდ თამაშის მიწურულს შეძლეს მეტოქის დალელოება, მაგრამ გამარჯვება ხელიდან ველარ გამოსტაცეს.

REUTERS

მეორე ნახევარფინალი კვირას გაიმართა. როგორც წინა ეტაპზე, „ნორტჰემპტონმა" ახლაც ბოლო წამებზე მოიგო და ისევ პოლ გრეისონის ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი. ინგლისის ნაკრების წევრი მანამდე მხოლოდ რამდენიმე წუთით ადრე ჩაერთო თამაშში, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმის განხორციელება სწორედ მან ითავა, რადგან იმ დღეს მშვენივრად მოთამაშე დოუსონი უკვე შეცვლილი იყო.

მატჩის პირველი ნახევარი უელსელებისა იყო. მათი შერკინება უკეთ ირჯებოდა, დერეფანში კრის ვიატი გაბატონდა, სტივენ ჯონსიც კარგად ურტყამდა. ყველაფერ ამას ჯეიმსმა ლელოც დაუმატა და ტაიმი „ლიანელიმ" 10 ქულით (19:9) მოიგო. თუმცა ანგარიშში სხვაობა უფრო დიდი უნდა ყოფილ[…]ყო, ერთ მომენტში ირლანდ[…]ელ მსაჯ ლუისს მასპინძლ[…] რომ არ დაენდო და საჯარი[…] ლელოთი დაესაჯა. ამან კი […] გამოიწვია, რომ ინგლისელ[…] მეორე ტაიმში მეორე სუნთქ[…] გაეხსნათ და მალე ბეიტმენ[…] ლელო გაიტანა. თამაშის გა[…]ხლებისთანავე მსაჯმა სტუმრ[…] მორკინალი ბუთი 10 წუთით გ[…]უგდო, მისი უხეშობისთვის დ[…]ნიშნული საჯარიმო კი დო[…]სონმა ზუსტად შეასრულა — 17:19. მიუხედავად იმისა, რომ რ[…]ცხობრივ უმცირესობაში იყვნ[…] უელსელებმა ორი საჯარიმო გ[…]იტანეს და რვა ქულით დაწინ[…]ურდნენ. თუმცა საფინალო ს[…]ტვენამდე 10 წუთით ადრე წ[…] მაინც „ნორტჰემპტონი" გავიდ[…] — 28:25.

ამის მერე „ლიანელიმ" მეტო[…] საკუთარ საჯარიმოს მიაჯა[…] მაგრამ სამი ქულის მეტს ვე[…]ფერს გამორჩა. თითქოს დამ[…]ტებითი დრო უნდა დანიშნულ[…]ყო, მაგრამ გრეისონმა საფინ[…]ლო დარტყმა შეასრულა და „ნო[…]რტჰემპტონი" ევროპის თასის ფინალში, „მანსტერის" დარა[…] პირველად გავიდა.

**გაგი გურულ[…]**

# ...არტინა ისევ ...ინგისია ...ესნოკოვმა ...არატი გაზარდა

...ამბურგი. გერმანია. „ბეტი ბარკლის თასი". თიხნარი. საპრიზო 550 ათასი $

...თხედფინალი: **მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანა კურ...ნიკოვა (6, რუსეთი) 3:6, 6:2, 6:4; ამანდა კუტცერი (8, სამხრეთ ...აფრიკა) — ვინუს უილიამსი (2, აშშ) 6:3, 6:4; ანკე ჰუბერი (7, ...გერმანია) — კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) 6:7 (6:8), 7:6 ...(7:4), 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) — ანდრეა ...გლასი (გერმანია) 6:3, 6:3**

...ევარფინალი: **ჰინგისი — ჰუბერი 6:3, 6:2; სანჩეს-ვიკარიო — კუტცერი 6:3, 4:6, 7:6 (7:4)**

...ნალი: **ჰინგისი — სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:3**

...1995-ში ჰამბურგში საჩოგბურთო სამყარო დიდი გული...ურით ადევნებდა თვალს ფენომენად შერაცხული მორიგი ...ნეიჯერის პროფესიონალურ დებიუტს. სახელოვან და ...კით უფროს კოლეგებს ძალიან სურდათ, 14 წლის ცხვი...ოუხოცავი ღლაპისთვის ჭკუა ესწავლებინათ, მაგრამ მან ...ლას ჯიბრზე ფინალამდე გააღწია.

...ახლა, იმ ღირსშესანიშნავი მოვლენიდან 5 წლის თავზე, ...მრავი ტიტულით, გამარჯვებითა და საბანკო მილიონით ...ზუნძლული მარტინა ჰინგისი კვლავ აოცებს.

...კარგა ხანია, ამტკიცებენ, რომ ქალთა ჩოგბურთის მომა...ლი ორმეტრიანი, დაკუნთული და უსქესო დიაცები არი..., რომ დები უილიამსების და ლინდსი დევენპორტის ჯი...ს წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჰინგისისთანა საზრია...და მკვირცხლი მოთამაშეები ვერაფერს გააწყობენ, მა...ამ ფაქტები სულ სხვა რამეზე მეტყველებს — ორშაბა...დან მარტინა ისევ მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტახტზე ...კლათდა, კარიერაში 137-ე კვირის განმავლობაში.

...კლასიფიკაციაში დევენპორტის გასასწრებად 19 წლის ...ეიცარიელს ჰამბურგში ფინალში გასვლაც ჰყოფნიდა. ...თადერთი დაბრკოლება მას მეოთხედფინალში შეხვდა, ...დაც არანაკლებ ამბიციურმა ანა კურნიკოვამ დიდი წინა...მდეგობა გაუწია, თუმცა რუსი თავისივე შეცდომება და...ეა.

...მარტინამ გადამწყვეტ სეტში 5:1-დან ანგარიშის მინიმუ...მდე შემცირება დაანება ყოფილ მეწყვილეს, თუმცა საქმე ...ც ბოლომდე მიიყვანა და ოპტიმისტურადაც განეწყო: ...მატჩი ძალიან დამეხმარება. არც ისე კარგად ვითამაშე ... მაინც მოვიგე, ამიერიდან მხოლოდ მოვუმატებ".

...როდესაც მოგვიანებით მეოთხედფინალიდან მთავარი კო...ურენტი, ვინუს უილიამსიც გავარდა, ჰინგისს თავისუ...ლად შეეძლო, „ბეტი ბარკლის თასი" უკვე თავისად ჩაე...ვალა — დანარჩენ ნახევარფინალისტებს პირად შეხვედ...რებში ის მეტწილად ანადგურებდა.

...საოცრება არც მომხდარა: მარტინა მასპინძელ ანკე ჰუ...ბერსა და მანამდე არაერთხელ დაბრიყვებულ არანჩა სა...ნჩეს-ვიკარიოს იოლად გაუსწორდა და კარიერის 29-ე ტი...ტულთან ერთად 87 ათასი დოლარიც ირგუნა.

...„რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ პირველი ჩოგანი ...ვხდი, მაგრამ ფინალში გამარჯვება უფრო მნიშვნელოვა... იყო. თუ კარგად თამაშობ და შედეგებსაც აღწევ, კლა...სიფიკაციას თავად მოევლება. მინდა, ამ სეზონის ბოლოსაც ...პირველი ვიყო" — განაცხადა შვეიცარიელმა.

...ბოლოს კი ჰინგისმა გაზრდილ კონკურენციასა და სპო...რტული ცხოვრების ხანგრძლივობაზე დააყოლა ერთი-ორი ...სიტყვა: „რაც დრო გადის, მით უფრო ძნელია მეტოქეებთან ...გამკლავება, ქალთა ჩოგბურთის დონე სულ უფრო მაღლ...დება. ამ წუთისთვის ვფიქრობ, რომ შტეფი გრაფივით 30 ...წლამდე არ ვითამაშებ და გაცილებით ადრე წავალ დიდი



მარტინა ჰინგისი

REUTERS ჰამბურგიდან

სპორტიდან, თუმცა შეიძლება მალე შევიცვალო აზრი. თუ ისევ საუკეთესო ვიქნები, გაქცევას რა აზრი აქვს"?

ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითად მარტინას არანჩა სანჩეს-ვიკარიოც გამოადგება. ესპანელი კარგა ხანია, აღარ წყვეტს ვარსკვლავებს ციდან, მაგრამ ჩოგბურთის მიტოვებას დაოჯახების შემდეგაც არ აპირებს: „უკვე 3-4 წელია, საუბრობენ, რომ სპორტიდან წასვლა გადავწყვიტე და ამ ზაფხულს, გათხოვების შემდეგ, კორტს აღარ დავუბრუნდები, მაგრამ ეს ტყუილია. აქ გაისადაც მიხილავთ, მე ჩემი სიტყვა ჯერ არ მითქვამს".

მალიორკის ღია პირველობა. ესპანეთი. თიხნარი. საპრიზო 500 ათასი $

მეოთხედფინალი: **მარატ საფინი (4, რუსეთი) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 3:6, 6:4, 7:6 (7:3); მარიანო პუერტა (6, არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:1; გალო ბლანკო (ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 5:7, 6:3, 6:3; მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:3, 6:2**

ნახევარფინალი: **საფინი — ბლანკო 6:2, 6:2; ტილსტრომი — პუერტა 3:6, 7:5, 6:1**

ფინალი: **საფინი — ტილსტრომი 6:4, 6:3**

ჩოგბურთში „წლის საუკეთესო მწვრთნელის" ჯილდო რომ არსებობდეს, ანდრეი ჩესნოკოვს სერიოზული კონკურენტიც კი არ ეყოლებოდა.

სულ ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ჩესნოკოვმა მან 20 წლის ნიჭიერი თანამემამულე მარატ საფინი მიიბარა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ზორბა რუსს, რომელსაც სეზონის პირველი ოთხი თვის მანძილზე სულ ოთხი მატჩი მოეგო, მარაგში უკვე ზედიზედ 11 გამარჯვება და ორი ტიტული აქვს.

„მწვრთნელობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ მარატის აგენტმა ლამის ძალად დამითანხმა. პირველად სავარჯიშოდ რომ წავიყვანე, პირი ღია დამრჩა, სულ ირგვლივ იყურებოდა და წარამარა ვიღაცეებს ესალმებოდა. ავუხსენი, რომ ასე არ შეიძლებოდა — აღნიშნავს ჩესნოკოვი — ბურთს სულ მთელი ძალით ურტყამდა და ხშირად ცდებოდა. ვუთხარი, შენი დონე არაფერში მჭირდება, თუ დარტყმები მიზანს ასცდება-მეთქი".

საფინი ნიჭიერი მოწაფე გამოდგა. ჯერ ბარსელონაში, მერე კი მალიორკის საჩოგბურთო კორტად გადაკეთებულ ხართა საბრძოლო მოედანზე მისი მოწოდებებისა და უკანა ხაზიდან ტყვიასავით დარტყმების სიმწარე უამრავმა მეტოქემ იწვნია, ძალისა და გონების საბედისწერო ნაერთთან გამკლავება კი ჯერაც ვერავინ მოახერხა.

„მთავარი თავდაჯერებაა. მე დაშინებული ვიყავი, ყველაფერს ვაცილებდი და თითქოს ჩოგბურთის თამაშიც დამავიწყდა. იმ მძიმე დღეებში საკუთარ თავს ვუთხარი, თუ ასე გაგრძელდა, ჩოგბურთს თავს დავანებებ-მეთქი — ამბობს საფინი — ანდრეიმ სამ დღეში შეცვალა საქმისადმი ჩემი დამოკიდებულება. ახლა უფრო პროფესიულად ვიქცევი, ტვინს ვიყენებ და ვიცი, ბურთი სად უნდა დავარტყა".

ამ ცვლილებებმა კიდევ ერთ რამეზე იმოქმედეს სასიკეთოდ — თუ აქამდე რუსი ტურნირზე საშუალოდ ორ ჩოგანს ამტვრევდა კორტზე დანარცხებით, ბარსელონასა და მალიორკაზე სპორტულ აღკაზმულობას ერთი უდროო დანაკარგიც არ უწვნევია.

„მაყურებლებისთვის შეიძლება კარგი იყოს, კორტზე ემოციებს რომ ამჟღავნებ, მაგრამ ამან შეიძლება თავად შენ გავნოს. ახლა ვსწავლობ საკუთარი გრძნობები როგორ უნდა ვაკონტროლო".

ამასობაში კი „როლან გაროსს" გამარჯვების კიდევ ერთი რეალური პრეტენდენტი გამოუჩნდა.

მიუნხენი. გერმანია. BMW OPEN. თიხნარი. საპრიზო 450 ათასი $

მეოთხედფინალი: **ტომას ენკვისტი (1, შვედეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4; ფრანკო სკილარი (7, არგენტინა) — იუნეს ელ აინაუი (2, მაროკო) 2:6, 6:2, 7:6 (8:6); ტომი ჰაასი (3, გერმანია) — ფედერიკო ბრაუნი (ბრაზილია) 6:3, 6:4; მაქს მირნი (ბელარუსი) — ფერნანდო მელიგენი (6, ბრაზილია) 7:5, 6:3**

ნახევარფინალი: **ჰაასი — ენკვისტი 7:6 (7:5), 1:6, 6:4; სკილარი — მირნი 6:2, 6:4**

ფინალი: **სკილარი — ჰაასი 6:4, 6:4**

**ავთანდილ სვანიძე**



...მიქაელ ტილსტრომმა მარატ საფინი შამპანურით გაწუწა



PLAY OFF

მეოთხედფინალი

# ისწავლეთ ეშმაკობა

8 მაისი

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 4:2**

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 სიკორა 0'18 (4); 2:0 არნოტი 20'25 (2); 3:0 მედენი 59'54 (2)

„ჩვენ გასაქანი არ მივეცით მეტოქეს, დიდებული, პოზიციური ჰოკეი ვითამაშეთ და ყველა ცდა ჩავუშალეთ ტორონტოს" — ნიუ ჯერსის კაპიტანი სკოტ სტივენი ტყუილუბრალოდ როდი ამაყობდა თავისი გუნდით. ტორონტოსთან სერიის მეექვსე და უკანასკნელ მატჩში „ეშმაკებმა" მართლაც რომ უმაღლესი კლასი აჩვენეს და აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალშიც დამსახურებულად გავიდნენ.

მასპინძლებმა ტორონტოელები მატჩის დაწყებისთანავე შეავიწროეს. მათმა საუკეთესო სამეულმა (ელიაში-სიკორა-არნოტი) უმალვე მეტოქის ზონაში გადაიტანა თამაში და სწრაფი კომბინაციის შემდეგ სიკორამ მე-18 წამზე გახსნა ანგარიში. ამ გოლმა დაამშვიდა „ეშმაკები" და თავიანთთვის ჩვეული, ფრთხილი, კონტრშეტევებზე დაფუძნებულ თამაში დაიწყეს. შეტევის ჩაშლისთანავე ნიუჯერსელები უკან იხევდნენ და მეტოქეს საკუთარი კარისკენ გზას ულობავდნენ. მეორე პერიოდის დასაწყისიც იღბლიანი გამოდგა მასპინძელთათვის. ამჯერადაც პირველ წუთზე დააბნია მასპინძელთა წამყვანმა ტრიომ მეტოქე და დასარტყმელ პოზიციაზე მყოფ არნოტს ხელი ველარავინ შეუშალა. 2:0 არცთუ დამაჯერებელი უპირატესობაა, მით უმეტეს, რომ დრო ჯერ კიდევ ბევრი იყო, მაგრამ მოხდა სასწაული, ყველასთვის მოულოდნელად, ტორონტომ ბრძოლა შეწყვიტა. ეს მართლაც საოცრება გახლდათ, რადგან ნჰლ-ის ნებისმიერი გუნდი ბოლო წამებამდე უწევს წინააღმდეგობას მეტოქეს. სტუმრებს კი არაფერი გამოსდიოდათ. მასპინძლებმა, რომლებიც ერთობ ლამაზად თამაშობდნენ, ეს იგრძნეს და ფრთები უფრო შეესხათ. მათ ლამის ყველა შეტევა მწვავე გამოსდიოდათ და რომ არა მეკარე კერტის ჯოზეფი, ანგარიში არაერთხელ შეიცვლებოდა. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ კომბინაციების დაგვირგვინებისას გარკვეულწილად თავადაც სცოდავდნენ და ბოლო წამებამდე გოლი აღარ გავიდა. ტორონტოს ცოტა რომ მოენდომებინა და ერთი საპასუხო შაიბა მაინც გაეტანა, იქნებ ვითარება შეცვლილიყო, მაგრამ... 60 წუთის განმავლობაში სტუმრებმა მხოლოდ 6-ჯერ (!) დაარტყეს. აბა, მარტინ ბროდოსაც რაღა გაუჭირდებოდა და კარიერაში მე-8 შატაუტი მიითვალა.

ასე რომ, ნიუ ჯერსიმ მატჩიც და სერიაც დამსახურებულად მოიგო. ტორონტო ჯოზეფს უნდა უმადლოდეს, რომ სერია ესოდენ დიდხანს გაგრძელდა. ყველა ნიუჯერსელი ქების ღირსია, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბობი ჰოლიკი. არა, ჩეხი ფორვარდი ნაკლებად ჩანდა შეტევაში, უგოლო სერია პლეი ოფებში 26 მატჩამდე გაზარდა და სერიაში სულ 2 პასი მიითვალა, მაგრამ როგორ გაუმკლავდა იგი ტორონტოს ლიდერ მატს სუნდინს (1 პასი 6 თამაშში), ეს ცალკე საუბრის თემაა. როგორც გაირკვა, სუნდინის და მისი პირველი სამეულის გარდა ტორონტოს აღარავინ ჰყოლია (დარსი ტაკერისა და სერგეი ბერეზინის გამოკლებით).

**სამველ ლარიბიანი**

*ბომბარდირები:* *იაგრი 16 (8+8), ჰრდინა (ორივე პიტსბურგი) და ჰალი (დალასი) 12 (4+8); სტრაკა (პიტსბურგი) 12 (3+9); დელმარში (კოლორადო) 11 (3+8); ნოლანი (სან ხოსე) 10 (8+2); მოდანო (დალასი) 10 (6+4); ფორსბერგი (კოლორადო) 10 (5+5); ჰეხტი (სენტ ლუისი) 10 (4+6); დრური (კოლორადო) და ელიაში (ნიუ ჯერსი) 10 (3+7); რეკი (ფილადელფია) 10 (2+8)*



REUTERS ტორონტოდან

ტორონტოელთა მეკარემ კერტის ჯოზეფმა გუნდი ბევრჯერ იხსნა, მაგრამ ჯეისონ არნოტის წინააღმდეგ ვერას გახდა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი

9 მაისი

E ჯგუფი

**რუსეთი — შვედეთი 4:2**

1:1 1:0 2:1

**ბელარუსი — შვეიცარია 5:3**

1:3 3:0 1:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 2 | 0 | 13:7 | 8 |
| შვეიცარია | 2 | 2 | 1 | 14:12 | 6 |
| შვედეთი | 2 | 1 | 2 | 16:11 | 5 |
| ლატვია | 2 | 1 | 2 | 12:13 | 5 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 3 | 9:17 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 4 | 8:12 | 2 |

F ჯგუფი

**ნორვეგია — იტალია 1:1**

0:0 1:0 0:1

**კანადა — სლოვაკეთი 4:3**

0:1 1:1 2:1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 0 | 1 | 25:11 | 8 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 22:15 | 7 |
| კანადა | 3 | 0 | 2 | 19:10 | 6 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 2 | 22:15 | 5 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 3 | 10:24 | 3 |
| იტალია | 0 | 1 | 4 | 5:28 | 1 |

მეოთხედფინალში ითამაშებენ

**აშშ — სლოვაკეთი**

**შვეიცარია — კანადა**

**შვედეთი — ფინეთი**

**ლატვია — ჩეხეთი**

მე-13 ადგილისთვის

**საფრანგეთი — იაპონია 7:2**

3:0 1:1 3:1

**ავსტრია — უკრაინა 3:2**

0:0 0:2 3:0

# მორიგი ლაღობა






REUTERS მანჩესტერიდან




REUTERS მანჩესტერიდან

ლამის ყოველი სეზონის ბოლოს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდის" მინდორი, უკაცრავად და, ვაჟის პარკის სანახებს ემსგავსება. „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონი ხდება და მინდორზე გადიან მოთამაშეთა შვილები, ცოლები, მშობლები, ბებიები, ძმაკაცები, ძველი ფეხბურთელები. ცაში თვითმფრინავი დაფრინავს და პლაკატი დააქვს: „დიდება, დიდება!" ოდესღაც შმაიხელის დუბლიორი რაიმონდ ვან დერ გოუს (მარჯვნივ) სულ უფრო ხშირად და ხშირად უწევს ძირითად შემადგენლობაში ყოფნა და გასაკვირიც არ არის, რომ კლუბის მორიგ ტიტულს უფრო თავისად გრძნობს. კოხტა ოჯახობა კი ყოლია... მაგრამ, რაც არ უნდა ქებო კარგი პერსონაჟები, ობიექტივი მაინც ბექჰემიანთ ოჯახისკენ გაგექცევა. აგე, როგორ მიაბიჯებს აშარი ვიქტორია ბოში, დევიდის ცოლი — „ოლდ ტრეფორდი" მისთვის, ჯერჯერობით მაინც მორიგი სცენაა. მის ქმარს კი პატარა ბრუკლინ ჯოხეფი ასოციაციის უძვირფასეს ტროფეიზე დაუსვამს. ბოდიში და პამპერსიან ბრუკს ეს ოქროთი მოპოვებული თასი რაიმეში არ აერიოს... მაგრამ, ეს ზეიმის შაბათია.

**ინგლისი**

გადადებული მატჩი

არსენალი 3:3 უესჰემი

**ავსტრია**

33-ე ტური; ბრეგენცი — ლინცერი 0:2; რიდი — ლუსტენაუ 4:2; ზალცბურგი — გრაცერი 5:1; აუსტრია — რაპიდი 3:0

# ხელები შორს ბონდი ბიჩისგან




REUTERS სიდნეიდან




ბონდი ბიჩი სიდნეის საუკეთესო და ულამაზესი პლაჟია. იქაურებს უყვართ თქმა, აქ არ დავბადებულვარ, თორემ პირველად მზე აქ დამცემია და ოკეანის წყალშიც პირველად აქ გამისველებია ფეხიო. და აი, სიდნეი ოლიმპიადისთვის ემზადება. ბევრი რამ აშენდა ამ ქალაქში ოლიმპიური თამაშებისთვის და ასაშენებელი დარჩა მხოლოდ ერთი — საპლაჟო ფრენბურთის მოედანი ათიათასადგილიანი, ღია ტრიბუნებით. ქალაქის მერია და საორგანიზაციო კომიტეტი ადრიდანვე შეთანხმდნენ: მოედნისთვის საუკეთესო ადგილი ბონდი ბიჩია, სამ კვირაში ყველაფერი აშენდება, მაგრამ ბონდი ბიჩის პუბლიკა ბობოქრობს — ჩვენს კოხტა სანაპიროს მეტალოკონსტრუქციებით არ დაგვამახინჯებინებთო. „ხელები შორს ბონდი ბიჩისგან" — მთელი ქალაქის პოლიცია აქ არის. ერთმა ჯეელმა თავიც კი ჩაიმარხა ბონდის საყვარელ ქვიშაში. არაფერი გამოვა — საძირკველს უკვე ასხამენ. კოხტა პლაჟი ოლიმპიურ თამაშებს ენირება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეკელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli

## საქართველოს თასი
## ნახევარფინალი
*საპასუხო მატჩები*

# ოცნებათა ამპუტაცია

ბათუმი
9 მაისი
18 საათი
დინამო
7 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 1:0 ლოკომოტივი**

პირველი მატჩი 0:2

1:0 ხუჯაძე (23)
**ბათუმი:** ჩლაიძე, არჩვაძე, მინდაძე, მ. მახარაძე, ხუჯაძე (ღლონტი 59), სიდამონიძე, ი. მახარაძე, გელა ქორიძე (მაჭუტაძე 66), ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა (ტულუში 56)
*სათადარიგონი:* ტოგონიძე; რომანაძე, სიხარულიძე, თარგამაძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ლ. მიქაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, ბალაშვილი, კვარაცხელია (ჭიჭვეიშვილი 46), ხიზანიშვილი, გოგიჩაიშვილი, რუსია (ძოძუაშვილი 83), ჯულელი
*სათადარიგონი:* ასლანაძე; გოდერძიშვილი, გილაური, კაციაშვილი, ხუროძე
**გაფრთხილება:** ქორიძე (3), ხიზანიშვილი (30), მიქაძე (45)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**კონსტანტინე გოგიშვილი** ბათუმიდან

**ბათუმი** ღირსეულად დახვედრია 9 მაისს — მარადიული ცეცხლი, წითელ-წითელი გვირგვინები სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალთან, მილოცვები და... ტრიბუნებზე ვეებერთელა პლაკატი წარწერით: 1941-45. ყოველივეს კი ნოსტალგიურ ფონად „გამარჯვების დღე" გასდევდა — რუსული არმიული საგუნდო სიმღერის შედევრი.

საზეიმო განწყობილებას ერთი რამ უშლიდა ხელს — თითქოს ვიღაცას ციდან მზე მოეპარა და აწვიმდა და აწვიმდა ბათუმს. „ბათუმი" — „ტორპედოს" შეხვედრა გახსოვთ? ჰოდა, ბათუმური ამინდისა და იმ მატჩისდროინდელი ამბების გადამკიდე, სერიოზულად ვშიშობდი, მატჩი არ გადადებულიყო...

მერე კი, დაახლოებით 4 საათისთვის, მზეს მოვალეობა გაახსენდა თუ რა იყო, ღრუბლებიდან გამოიჭყიტა და ისე ჩამოუარა „დინამოს" სტადიონს, როგორც მედიცინის დამ პალატებს.

„პალატაში" კი ბრძოლა-ჯახი იყო, სათასო? უფრო სამკვდრო-სასიცოცხლო.

მატჩი უაღრესი ხმაურის აკომპანიმენტით დაიწყო — „დინამო", „დინამო"! „გოლი", „გოლი". ერთი სიტყვით, ტრიბუნებს ცა ძირს ჩამოჰქონდათ ყიჟინით და მატჩის წინ მწვრთნელისგან უკიდეგანოდ შეფუცხუნებულ ბათუმელებს კიდევ ცეცხლის შენთება უნდოდათ? ყველაფერს უკიდურესობამდე დაჭიმული ნერვებიც ზედ დაერთო და გელა ქორიძემ ყველაზე ადრე დაკარგა მოთმინება. ტუხა იმგვარად ჩაუხტა რუსიას გაშლილი ფეხით, მეტოქე ლამის საკაცით გასატანი შეიქნა. ყვითელმა ბარათმა, რომელიც სერგო კვარაცხელიამ უმალვე უჩვენა ქორიძეს, უაღრესად გაამწვავა სიტუაცია მინდორზე და როცა ორიოდე წუთში საჯარიმოში შევარდნილი აფხაზავა ხელებაწეული წაიქცა, კვარაცხელია კი დუმდა, „დინამოს" სტადიონი ვულკანს დაემსგავსა... ამის შემდეგ 10 წუთი ორთაბრძოლებში და



თბილისელი გიორგი ბალაშვილი და ბათუმელი ამირან მუჯირი

ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

უნებლიე შეცდომებში გაილია. ძოძუაშვილის ტაქტიკა ერთჯერადი შპრიცივით მარტივი იყო — მეტოქისთვის ტერიტორიული უპირატესობის შეგნებული დათმობა და მასპინძელთა კონტრშეტევაზე დაჭერა. რკინიგზელთა „ბებერი" იმედი ჯულელი გუშინაც ძალობდა და თავისი მოუსვენრობით არაერთხელ შეაფუცხუნა „ბათუმის" დაცვა და მეკარე.

მასპინძელთა არეული თამაშის დალაგება ისევ მალხაზ მახარაძემ ითავა და თავის ახალგაზრდობისდროინდელ ამპლუაში გამწესებულმა თეთრ-ლურჯმა კაპიტანმა ერთიმეორეს მოაყოლა ზუსტი პასი. თანაგუნდელის თავგამოდებას ლევან ხომერიკმაც აუბა მხარი და მარცხენა ფლანგზე მეტოქე მცველ აბრამიძის ესკორტით ლამის ნახევარი სტადიონი გადაირბინა. სირბილს გამჭოლი გადაცემა მოჰყვა, ამას აფხაზავას კიდევ ერთი პასი. ამირან მუჯირის ძალიან ძლიერი დარტყმა, ლომაიას მყისიერი რეაქცია, ხუჯაძის დარტყმა და... 1:0.

სტადიონი ერთხელაც დაემსგავსა ვულკანს. პირველი ტაიმის დარჩენილი ნაწილი (ზუსტად ნახევარი) კვლავ „ბათუმის" კარნახით წარიმართა, ერთხელაც გაილაღა ხომერიკმა, მაგრამ ლომაიას წინ სევასტოპოლის დამცველებივით აღმართულიყვნენ „წითელი ეშმაკუნები" (ლოკომოტიველები) და ამჯერად საქმე გოლამდე არ მისულა.

მეორე ტაიმში ძოძუაშვილმა ოდნავ გადაანაცვლა ნახევარდაცვა და წინწაწეული საყრდენი კვარაცხელია უკანდახეული ჭიჭვეიშვილით შეცვალა. ამის ბრალი იყო თუ რა, მეორე ნახევარში თითქმის ხუთი წუთი მასპინძლები თავიანთ ნახევარს ვერ გადასცდნენ. მერე კი ყველაფერი ძველებურად, „ბათუმის" კარნახით გაგრძელდა.

ხისტი ფეხბურთი იმისაა, ფეხბურთელმა უხეშობის ზღვარზე ითამაშოს და აკი გადაჰყვა ამას აფხაზავა — მეტოქესთან შეტაკებისას მან ფეხი ისე დაიზიანა, სანწრაფოც კი შეაწუხეს, მაგრამ ბოლო წამს შალვამ შეძლო სათადარიგოთა სკამისკენ მხოლოდ ერთი კაცის დახმარებით წასულიყო.

„ლოკომოტივის" შეტევები ხიზანიშვილის ეულ დარტყმას არ გასცილებია, თუმცა მეორე ტაიმის შუაგულისთვის ველარც „ბათუმი" ფლობდა უპირატესობას ძველებურად. ამის მიზეზი კი უფრო ბათუმელ ფეხბურთელთა სუსტ ფიზიკურ მომზადებაშია საძიებელი. მაშ, მართალი ყოფილა ჯანი კარნევალი, რომელსაც ფიზიკური ვარჯიშებისადმი ზედმეტ გადახრას საყვედურობენ ბათუმში — ფეხბურთელებს იმგვარ ვარჯიშებს უტარებს, ბურთზე შეხება ენატრებათო. მინდორზე პაატა მაჭუტაძის გამოჩენისთანავე რვა ლოკომოტიველი თავის საჯარიმოს ხაზზე გამწკრივდა და რკინიგზელთა მეკარესაც საქმე შემოელია და ხაფადლა შეუძახა თავისიანებს. შეძახილებს რაც შეეხება, კარნევალისა უნდა გენახათ, სინიორ ჯანი ნამეტნავად ნერვიულობდა, ყოველივეს „აუტჩიკის" პროფესიასაც უთავსებდა და იმგვარად გაჰყვიროდა, მის შემოძახილთან ლომაიას ხმა ჩურჩულად მოგეჩვენებოდათ.

საოცარია, „ბათუმის" რიგებში სამ ცვლილებას თითქოს უნდა გამოეცოცხლებინა მასპინძელთა თამაში, მაგრამ არა — ტულუში, ღლონტი, მაჭუტაძე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წუნებში, შეხვედრის ძირითადი დროის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე პაატამ საგოლეც მეკარის კერძი გახადა. თუმც მაჭუტაძის გაცუდებული სიგნალივით იყო, თითქოს პლასტიკური ოპერაცია გაუკეთესო, „ბათუმმა" (და თამაშმა) სახე იცვალა და ერთიცა და მეორეც საოცრად გალამაზდნენ. ძირითადი დროის მიწურულს „ბათუმი" სარკითა და მზის ათინათით მოთამაშე პატარა ბავშვსა ჰგავდა, სწორედ ანარეკლივით ლამაზი იყო მასპინძელთა შეტევები. „ლოკომოტივი" კი ბუზღუნა მოხუცივით იქცეოდა, ბიჭუნას ანცობას ლაზერის შუქით რომ პასუხობს — რკინიგზელები ყველანაირი ხერხით ცდილობდნენ დროის გაყვანას. მსაჯის რეაქციის შემხედვარე გამოსდიოდათ კიდეც.

სულ ეს იყო. ოპერაცია „ლოკომოტივი" შედგა, „ბათუმისთვის" კი ყოველივე ოცნებათა ამპუტაცია იყო. გასახდელისკენ ზეიმით მიმავალი „ლოკომოტივი" კორდზე ბროწეულის ყვავილივით ლამაზ ჰეფი ენდს ჰგავდა.

ქუთაისი
9 მაისი
18 საათი
ტორპედო
10 000 (ტევადობა 20 000)

**ტორპედო 0:0 დინამო**

პირველი მატჩი 1:1

**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, მახვილაძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (შეყრილაძე 86), დ. ჯანაშია (მ. ბობოხიძე 90), მეგრელაძე (იმედაძე 65), იონანიძე
*სათადარიგონი:* ჭანტურია; მაღლაკელიძე, ამისულაშვილი, ასათიანი
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე (მონასელიძე 76), ნემსაძე, წიტაიშვილი, სიჭინავა, გ. შენგელია (მინაშვილი 53), გუჩუა, ანჩაბაძე (ზირაქიშვილი 53), შაშიაშვილი
*სათადარიგონი:* ჩხეიძე; რუხაძე, ხუციშვილი, ქემოკლიძე
**გაფრთხილება:** წიტაიშვილი (17), ჯანაშია (71)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. მიქელთაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კახიანი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

# თასის შესანარჩუნებლად

**მეთერთმეტე** ეროვნულის ოქროს მედლებისათვის მოქიშპენი ბედმა თასის გათამაშების ნახევარფინალშიც გადაჰყარა ერთმანეთს და, მოგეხსენებათ, კვირით ადრე ეროვნულზე გამართული ამათი პირველი შეხვედრა ფრედ დასრულდა. თბილისურმა 1:1-მა საპასუხო მატჩისთვის გარკვეული პრივილეგიები დაუტოვა ქუთაისელებს. გუშინ „ტორპედოს" საკუთარი კედლები (მაყურებლის ფაქტორი) ხომ უმაგრებდა და უმაგრებდა ზურგს, მასპინძლებს ამოცანის შესრულებაში ის გარემოებაც ანიჭებდა უპირატესობას, რომ თუკი ისინი „დინამოს" ვერ გაუტანდნენ, არაფერი დაშავდებოდა, მთავარია საკუთარ კარში არ მიეღოთ ბურთი და, მორჩა, 0:0-ზე „ტორპედო" შარშანდელივით ფინალისტი ხდებოდა.

გადაუღებლად წვიმდა და უჩვეულოდ ციოდა გუშინ ქუთაისში, მაგრამ ბუნების ჭირვეულობას ჭეშმარიტი ქომაგი როდის შეუშინებია. სანახევროდ მაინც შეივსო „ტორპედოს" ტრიბუნები. დიდი იყო ამ მატჩის ფასი და იმიტომ. ხუმრობა საქმეა, ორიდან ერთი თასის ფინალში გადიოდა. ესეც რომ არა, „ტორპედო" — „დინამოს" მაინც ახლდა ინტრიგა. ბოლო ორთვენახევარში სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ეს გუნდები და „ტორპედომ" ვერცერთხელ ვერ შეძლო მეტოქის დამარცხება. „ტორპედომ" კი არა, თებერვლიდან მოყოლებული „დინამოს" შინაურ ჩემპიონატში და თასზე საერთოდ არ წაუგია. მართალია, „დინამოს" ამით ვერაფერი ნუგეში: გუნდი ჩემპიონატში მხოლოდ მესამე ადგილზეა და თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩშიც უმძიმესი ბრძოლა ჰქონდა გადასატანი.

თქმა არ უნდა, მეტოქეებს ხუთი თითივით ჰქონდათ შესწავლილი ერთმანეთის პლუს-მინუსიები. ფეხბურთელების მონდომებასთან ერთად გუშინ ბევრი მწვრთნელთა გამჭრიახობაზეც იყო დამოკიდებული. მართლაც, საინტერესო იყო როგორი ტაქტიკით ათამაშებდა ამჯერად თავის შეგირდებს დავით ყიფიანი, დაცვითით, როგორც თვენახევრის წინ ჩემპიონატის მატჩში, თუ შემტევით. ტორპედოელებს 0:0 აძლევდათ ხელს და ყიფიანს არჩევანი ჰქონდა. ოთარ კორღალიძის გუნდს კი გამარჯვება ან უხვგოლიანი ფრე აწყობდა გუშინ და, წესით და რიგით, „დინამოს" საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო იერიშზეც უნდა ეფიქრა...

და... „ტორპედომ" გააფთრებით შეუტია. მე-2 წუთზე ახვლედიანი სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, მერე სტუმართა საჯარიმოსკენ დააპირა სვლა და... გუჩუამაც მაშინ მოცელა. ეს ერთი. ხუთ წუთში დინამოელები კიდევ სამჯერ დაჯარიმდნენ უხეშობისთვის. დაახლოებით 20 წუთი „დინამოს" საიმედოდ ჰქონდა გადაკეტილი საკუთარი კარის მისადგომები. ქუთაისელთა წინა და შუახაზელებსაც, აქტიურობის მიუხედავად, თავიდან გაუჭირდათ ხისტად მოთამაშე დაცვის გარღვევა. მაგრამ ამის ჯერიც დადგა. პირველი სახიფათო მომენტი თბილისელთა კართან ზუსტად შუა ტაიმში შეიქმნა. იონანიძემ „დინამოს" საჯარიმოს წინა ხაზთან მიიღო მეგრელაძისგან ბურთი და უმალ ძლიერად დაარტყა კარისკენ. გრიშიკაშვილი ნახტომში ძლივს მიწვდა ბურთს და კუთხურზე გადააგდო. ხუთ წუთში ეროვნული ჩემპიონატის სნაიპერმა მეორედაც დააფრთხო სტუმრები. იონანიძემ 20 მეტრიდან დაბალ კუთხეში დაურტყა მეკარეს და გრიშიკაშვილმა ამჯერადაც იმარჯვა. მასპინძლებმა სწრაფი ლაღი ფეხბურთი შესთავაზეს მეტოქეს. „დინამომ" ამ გამოწვევას იმითღა უპასუხა, რომ ტემპის დაგდებას შეეცადა და შესვენებამდე დარჩენილი დრო ქუთაისელთა იერიშების ჩაშლას მოანდომა. 36-ე და 38-ე წუთებზე დინამოელები შესაბამისად კვეტანაძის და მეგრელაძის დარტყმებს გადაურჩნენ, ორივემ ოდნავ გადააცილა ხარიხას. 43-ე წუთზე ტორპედოელებმა ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც იმით დასრულდა, რომ ახვლედიანმა ზუსტად უპასა ჯანაშიას, რომელიც მეტად ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა. ტორპედოელმა დარტყმაც არ დაახანა, ეგ იყო კუთხე იყო საკმაოდ მახვილი და ბურთი ოდნავ აცდა მიზანს, შორეულ ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

ტაიმის ბოლო წუთი იქნებოდა კონტრშეტევაზე უხეიროდ მოთამაშე სტუმრები „ტორპედოს" ნახევარზე ჯარიმას რომ გამორჩნენ. სწორედ ამ ჯარიმას მოჰყვა მასპინძელთა კართან ერთადერთი ხიფათი. გიორგი ნემსაძემ 25 მეტრიდან გაისროლა და კარის მარცხენა ჯვარედინს ოდნავ ააცილა.

მასპინძლებმა იმდენი ძალა და ენერგია შეალიეს პირველ ტაიმს, კაცი იფიქრებდა, სამეორტაიმოდ „ტორპედოს" დაღლა დაეტყობაო. არაფერი მსგავსი. ქუთაისელები მეორე ტაიმშიც საკმაოდ მაღალ ტემპში თამაშობდნენ, ეგ იყო ამჯერად „დინამომ" უფრო მოინდომა, მარტო დაცვაში ყოფნა აღარ იკმარა და დროდადრო ისიც გადიოდა შეტავაზე, განსაკუთრებით მის შემდეგ რაც მოედანზე მინაშვილი და ზირაქიშვილი გამოჩნდნენ. სტუმრები თავდასხმაში შედარებით გააქტიურდნენ და 65-ე წუთზე წიტაიშვილს მიეცა კარგი შანსი. იგი ახლოდან ურტყამდა თავურს, მაგრამ მიზანში ვერ მოახვედრა. სტუმართა ამ გამოხტომას „ტორპედო" რამდენიმე უაღრესად სახიფათო შეტევით შეეპასუხა. ჯანაშიამ და ორჯერ იონინიძემ, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი მომენტები ვერ გამოიყენეს. ისიც სათქმელია, რომ მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მინაშვილსაც ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ ზოიძემ არ აცალა.

0:0 — ასე მორჩა საინტერესო თამაში. ვის აძლევდა ეს შედეგი ხელს? ცხადია, „ტორპედოს". ქუთასელები შარშანდელივით თასის ფინალში ითამაშებენ თასის შესანარჩუნებლად. „დინამო" კი ისევ წაუგებელია, მაგრამ რად გინდა, თასის გათამაშებიდან გამოვარდა და, მგონი, ჩემპიონობაც სხვას გადაულოცოს.



ტორპედოელი ბადრი ახვლედიანი არჩილ სახვაძეს და ვალტერ გუჩუას გაურბის

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხის კედელი და ცხრიანი

## ლევან კობიაშვილი იქ ურტყამს, სადაც უნდა დაარტყას

*მთავრდება სეზონი. მთავრდება ბუნდესლიგის ჩემპიონატი. მთავრდება „ფრაიბურგის“ ტანჯვაც. სასწაული უნდა მოხდეს, სამი ჩვენებურის გუნდმა უძლიერესთაგან ჩაინაცვლოს. საკმარისია, დარჩენილ თამაშებში ერთი ქულა მოიპოვონ და ბუნდესლიგაში ადგილს დაიბევებენ.*

*წლეულს თუ „ფრაიბურგიდან“ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ლევან კობიაშვილის. იგი ბუნდესლიგაშიც ერთ-ერთი რჩეულთაგანია და საქართველოში საუკეთესოობის შანსიც აქვს. „სარბიელმა“ ტრადიციული გამოკითხვა უკვე დაიწყო.*

*ლევანს მართლაც კარიერაში უკეთესი სეზონი უდგას. სტაბილურად თამაშობს „ფრაიბურგში“, მცველ-ნახევარმცველისთვის საკმაო გოლებიც გააქვს და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგანაც ნაქებია.*

*კარგა ხანია, მასთან არ გვისაუბრია. არადა, აქამდე რამდენჯერაც ვცადეთ, ვერ მოვახერხეთ — ვარჯიში, თამაში, პირადი საქმეები, მოკლედ... ბუნდესლიგის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე ლევან კობიაშვილთან დაკავშირება გართულდა. გუნდი პრინციპული მატჩებისთვის ემზადებოდა, რა თქმა უნდა, ლევანიც, როგორც ლიდერს შეჰფერის...*

*ახლა კი ეს ინტერვიუ წაიკითხეთ, რომელიც ჩვენებურს „კაიზერსლაუტერნთან“ მატჩამდე ვთხოვეთ.*



გურამ [illegible] ფოტო

ლევან კობიაშვილი: ვითამაშებ საქართველოსთვის

— ერთობ საპასუხისმგებლო თამაში გველის. მართალია, ბუნდესლიგაში დასარჩენად ფრეც გვყოფნის, მაგრამ „ფრაიბურგი“ ის გუნდი არ არის, ქულისთვის ითამაშოს. მოსაგებად ვემზადებით, განსაკუთრებულ რეჟიმში ვართ, დღეში ორი ვარჯიშია, თეორიული მეცადინეობა გვაქვს. ხანდახან მწვრთნელ ფინკეს ცალკე გავყავარ, მიხსნის, როგორ ვითამაშო. „კაიზერსლაუტერნი“ ძალიან ძლიერი გუნდია. თანაც სტუმრად თამაში ეხერხებათ.

**— ბოლო დროს არც თქვენ გამოიყურებით ურიგოდ.**

— უწინდელთან რა შედარებაა, საგრძნობლად მოვუმატეთ და ბევრი, ძალიან საჭირო ქულა დავაგროვეთ. ადრე ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებული იყო, ახლა მათ ტარვმები მოიშუშეს და ძვე[...]ბურად ათამაშდნენ. გუნდსაც დაეტყო, განსაკუთრებით იაშვილის გამოჯანმრთელება.

**— ფი[...] ეს ცალკე რომ გაჰყავხარ, ეგ როგორ გავიგოთ?**

— რა ვიცი, ტაქტიკაზე მელაპარაკება, შენი იმედი მაქვსო. გამორიცხული არ არის, ამპლუაც შემიცვალოს და „კაიზერსლაუტერნთან“ შუაში მათამაშოს.

**— მნიშვნელოვანი მატჩი გველისო, თავად თქვი და შენთვის ამპლუის შეცვლა რისკი ხომ არ იქნება?**

— მოედნის შუაში ადრეც მითამაშია და ასეთ გადაადგილებაზე მთლად რისკიც არ ითქმის. ისე კი, რაღა თქმა უნდა, უმეტესად მარცხნივ, ხან დაცვაში, ხან ნახევარდაცვაში ვთამაშობ და მგონი, გუნდისთვის ფლანგზე უფრო სასარგებლო ვარ.

**— გოლების გატანასაც მოუხშირე.**

— ეგ მას შემდეგ, რაც ფინკემ ჰავბეკად ამწია და დამავალა, თავდამსხმელებს მეტად დავხმარებოდი. ყველა შეტევაში ვმონაწილეობ, საგოლე მომენტებიც მექმნება და...

**— ჯარიმების დარტყმაზე ბევრს ვარჯიშობ?**

— საკმაოდ. ვარჯიშს რომ მოვრჩებით, რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად ბაზაზე ვრჩები. „ხის კედელს“ შევაგორებ ხოლმე მინდორზე და ყველა ადგილიდან ბევრჯერ ვურტყამ. თამაშებისას ჯარიმები როგორ გამომდის, თავად შეაფასეთ.

**— ჩვენ უკვე შევაფასეთ. „ბაიერნს“ ისეთი გოლი გაუტანე...**

— მართლაც ლამაზი გამოვიდა. დავინახე მეკარე კანი „კედლის“ დაფარული კუთხიდან შორს იდგა, მთავარი ბურთის კარგად მოჭრა იყო. ყველაფერი ხუთიანზე შევასრულე. ზუსტად იქ დავარტყი, სადაც უნდა დამერტყა — ცხრიანში.

**— ამბობენ, კობიაშვილი ბუნდესლიგაში საუკეთესო მარცხენა ჰავბეკიაო. შენ რას იტყვი?**

— მთლად საუკეთესო არა. აქ ჩემზე ძლიერებიც თამაშობენ. სხვას ვერაფერს გეტყვით, რაც შემიძლია, იმას კი ვაკეთებ.

**— მეტი არ შეგიძლია?**

— თავს არასდროს ვზოგავ. რაც გამომდის, ეგაა, მერე კი ვნახოთ, აუცილებლად კიდევ მოვუმატებ. ბევრი რამ დასახვეწი მაქვს.

**— უფრო კონკრეტულად?**

— სისწრაფეში ბურთი უკეთ უნდა დავიმორჩილო, მარჯვენა ფეხით და თავით ბურთს უკეთ დავარტყა.

**— ბუნდესლიგაში თამაშობ და ამ კითხვაზე პასუხიც გექნება — რომელი უკეთესი გუნდია — „ბაიერნი“ თუ „ბაიერი“? ჩემპიონი ვინ გახდება?**

— პირველობის მეტი შანსი „ბაიერს“ აქვს, მაგრამ ვეჭვობ, ჩემპიონატის ბოლო თამაშამდე ეს გაინაღდონ. ისე კი... „ბაიერნი“? მიუნხენელები, მგონი, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

**— დაბოლოს ეროვნულ გუნდზეც გკითხავ. „ფრაიბურგს“ რამდენი დასჭირდები, ნაკრებში იმდენი მატჩი უნდა გამოტოვო?**

— მე და იაშვილი მზად ვიყავით, სომხების წინააღმდეგ გვეთამაშა, ნაკრებიდან მიწვევაც მივიღეთ, მაგრამ „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელებმა ძოძუაშვილსა და ყიფიანს სთხოვეს, კლუბში დარჩენო და მწვრთნელებიც დათანხმდნენ. როცა ამაში თავად დავრწმუნდით, ერევანში აღარ წავსულვართ. ჩვენთვის ნაკრებია პირველი და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვითამაშებთ საქართველოსთვის. რასაც ეროვნული გუნდისა და კლუბის ხელმძღვანელები გადაწყვეტენ, ჩვენც იმას გავაკეთებთ.

კობა ინასარიძე

# ფეხბურთელები პასუხს ელიან

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა შესაძლოა, გაისად ესპანეთში გასამართ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში მიიღოს მონაწილეობა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამასთან დაკავშირებით ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს თანხმობა განუცხადა. ახლა საბოლოო სიტყვა ამ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ეკუთვნის, რომელიც გადაწყვეტილებას უეფასთან ერთად მიიღებს.

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები ოთხ სახეობაში იმართება. ვაჟებს ფეხბურთსა და ხელბურთში შეუძლიათ სცადონ ძალები, გოგონებს კი — კალათბურთსა და ფრენბურთში. წესის მიხედვით თითოეულ ქვეყანას თითო ადგილი ეძლევა, რომელ სახეობაში, ამას საორგანიზაციო კომიტეტი წყვეტს. ამით ტურნირზე გამოსვლის საშუალება ყველა ქვეყანას ეძლევა.

საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადი ოთხივე სახეობაში წარადგინა, პასუხს ამ ზაფხულს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთის ტურნირში სულ ექვსი გუნდი ითამაშებს. 1997 წელს პორტუგალიაში ჩატარებულ ამ ტურნირში საქართველოს სახელით ფეხბურთელთა გუნდმა იასპარეზა. მაშინ ვახტანგ კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა ბიჭებმა ჩინებულად ითამაშეს, ფინალში პორტუგალიის ნაკრებს პენალტებით სძლიეს და გამარჯვებულებიც გახდნენ. მიუხედავად ამისა, ორი წლის შემდეგ საქართველოს ისევ ფეხბურთელთა ნაკრების გაგზავნაზე უარი უთხრეს. მართალია, წინა ოლიმპიური დღეების ჩემპიონები ხართ, მაგრამ ბოდიში, ახლა სხვა ქვეყნებსაც უნდა მივცეთ თავის გამოჩენის შანსიო, შემოუთვალეს ჩვენებს. აქედან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია, ორგკომიტეტმა ადგილი კვლავ ფეხბურთელებს გამოუყოს, თუმც გამორიცხული არაფერია.

ოლიმპიურ დღეებზე (2001 წლის 13-20 ივლისს ესპანეთის ქალაქ მურსიაში გაიმართება) გამგზავრების, ესპანეთში ცხოვრების, თამაშების გახსნა-დახურვის აღლუმებისთვის ეკიპირების და თამაშებში მონაწილებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი კისრულობს. ფეხბურთის ფედერაციას მხოლოდ გუნდის მოსამზადებლად და სათამაშო ფორმით უზრუნველსაყოფად მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა, თუმც, როგორც გუშინ ფედერაციაში გვითხრეს, ოღონდ ესპანეთში 16-წლამდელთა ნაკრების გამოყვანის უფლება მოგვცენ და არც სხვა ხარჯებზე ვიტყვით უარსო.

ასე რომ, 16-წლამდელები თამაშზე თანახმანი არიან და პასუხს ელიან.

ვანო ოქროპირიძე

## რეგიონალური ლიგა

### დასავლეთი

„ა“ ზონა

XVII ტური

5 მაისი

**რწმენა 0:1 ოკეანე**

0:1 კრავეიშვილი (16)
გაფრთხილება: გოგავა, გაბედავა (ორივე ოკეანე)
გაძევება: მუშკუდიანი (53, რწმენა)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

**გურია 3:1 რაჭა**

0:1 ჯიკვაძე (55), 1:1 ფაცურია (65), 2:1, 3:1 ქიქავა (71, 76)
გაფრთხილება: პაპიძე, სახელაშვილი (ორივე რაჭა)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**მარგვეთი 3:1 გაგრა**

1:0 ენდელაძე (35პ), 1:1 ქუთათელაძე (53), 2:1 სულაძე (60), 3:1 ძნელაძე (80)
გაძევება: თირქია (45, გაგრა), გორდაძე (90, გაგრა)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

7 მაისი

**მეტალურგი 3:0 ინტერი**

1:0 გავაშელიძე (12), 2:0 გობრონიძე (49), 3:0 აბაზაძე (51)
გაფრთხილება: მალალურაძე (მეტალურგი), დათიაშვილი (ინტერი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**სულორი 3:2 მეშახტე**

1:0 ჩუბინიძე (22), 1:1 აბესაძე (61), 2:1 მიქელთაძე (84), 3:1 ბელთაძე (86), 3:2 ხელაძე (90)
გაფრთხილება: ორმოცაძე, მელაშვილი (ორივე სულორი), ტისიაჩნი (მეშახტე)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**იბერია 2 5:1 მალაროელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 18 | 14 | 4 | 0 | 57:14 | 46 |
| ოკეანე | 18 | 11 | 4 | 3 | 40:21 | 37 |
| იბერია 2 | 18 | 9 | 6 | 3 | 36:21 | 33 |
| მეტალურგი | 18 | 9 | 5 | 4 | 32:21 | 32 |
| გაგრა | 18 | 6 | 6 | 6 | 25:29 | 24 |
| ინტერი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:18 | 24 |
| სულორი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:40 | 20 |
| რწმენა | 18 | 4 | 6 | 8 | 12:21 | 18 |
| რაჭა | 18 | 4 | 6 | 8 | 21:26 | 18 |
| გურია | 18 | 5 | 1 | 12 | 26:35 | 16 |
| მალაროელი | 18 | 3 | 5 | 10 | 23:35 | 14 |
| მეშახტე | 17 | 2 | 4 | 11 | 18:54 | 10 |

„ბ“ ზონა

XVII ტური

5 მაისი

**ბათუმი 2 2:1 ფაზისი**

1:0 ფურცხვანიძე (70), 2:0 ჩიჩუა (73პ), 2:1 მაკალათია (76პ)
გაფრთხილება: ჯინჭარაძე (ბათუმი 2), ყურაშვილი, ყორშია (ფაზისი),
გაძევება: ყურაშვილი (61, ფაზისი)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**მეგრი 3:0 შუქურა**

1:0 კუტალია (55), 2:0 კვეკვესკირი (71პ), 3:0 თოლორაია (85)
გაფრთხილება: შონია (მეგრი), ქუტიძე (შუქურა)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**მერცხალი 4:2 ბახმარო**

1:0 მეგრელიშვილი (36), 1:1 მეფარიშვილი (37), 2:1 მგელაძე (42), 3:1 მახარაძე (55), 3:2 რ. უჯმაჯურიძე (85), 4:2 მანჯავიძე (86)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**სქური 1:0 სამეგრელო**

1:0 მ. მიქავა (43)
გაფრთხილება: ფირცხალავა (სამეგრელო)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**კოლხეთი 2 2:0 ჩელა**

1:0 თოფურია (7), 2:0 კრასოვსკი (75პ)
გაფრთხილება: ლვინჯილია (კოლხეთი), აბსანძე (ჩელა)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

6 მაისი

**ზუგდიდი 2:2 ლაზიკა**

1:0 დიდიძე (38), 1:1 ლიპარტია (49), 2:1 ჯოლოხავა (72), 2:2 თოდუა (81)
გაფრთხილება: ჯურხაძე, ჭედია, ცაცუა (ყველა ლაზიკა)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 18 | 14 | 2 | 2 | 56:19 | 44 |
| მეგრი | 18 | 13 | 2 | 3 | 30:13 | 41 |
| ზუგდიდი | 18 | 12 | 3 | 3 | 48:19 | 39 |
| კოლხეთი 2 | 18 | 11 | 4 | 3 | 28:14 | 37 |
| ლაზიკა | 18 | 10 | 5 | 3 | 42:17 | 35 |
| ფაზისი | 18 | 9 | 3 | 6 | 32:29 | 30 |
| სქური | 18 | 5 | 2 | 11 | 24:44 | 17 |
| სამეგრელო | 18 | 4 | 4 | 10 | 19:32 | 16 |
| ბათუმი 2 | 18 | 2 | 8 | 8 | 18:28 | 14 |
| მერცხალი | 18 | 2 | 5 | 11 | 15:37 | 11 |
| ჩელა | 18 | 2 | 4 | 12 | 16:44 | 10 |
| ბახმარო | 18 | 2 | 2 | 14 | 15:47 | 8 |

### აღმოსავლეთი

„ა“ ზონა

XVII ტური

6 მაისი

**არაგვი 0:3 მესხეთი**

0:1 ინასარიძე (60), 0:2 სიდამონიძე (70), 0:3 ხაჩიძე (90)
ქეთულაურმა ვერ გაიტანა პენალტი (88, არაგვი)
გაფრთხილება: ჩიტაური (არაგვი), გვირჯიშვილი, ისაკაძე, მაჭარაშვილი, სულაძე (ყველა მესხეთი)
გაძევება: სიდამონიძე (75, მესხეთი)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**ვარძია 1:1 იბერია**

1:0 კოხრეიძე (24), 1:1 არეშიძე (50)
გაფრთხილება: ბერიძე, ხითრიშვილი (ორივე ვარძია), მგელაძე (იბერია)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**ცხინვალი 4:0 საუ**

1:0 ნასუაშვილი (5), 2:0 მარგიევი (30), 3:0 ეჯოშვილი (68), 4:0 ხახიშვილი (72)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ივერია 0:2 თორი**

0:1 თალაკვაძე (42), 0:2 ქობესაშვილი (88)
გაფრთხილება: ვ. ლურსმანაშვილი, წიკლაური, ჯაფარაშვილი (ყველა ივერია), თალაკვაძე, მესხი, გლუნჩაძე (ყველა თორი)
გაძევება: თალაკვაძე (52)
მსაჯი: ი. კახიანი (თბილისი)

**მრეტები 3:0 განთიადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 16 | 12 | 2 | 2 | 32:5 | 38 |
| თორი | 17 | 12 | 2 | 3 | 34:12 | 38 |
| ივერია | 16 | 10 | 0 | 6 | 36:20 | 30 |
| იბერია | 16 | 8 | 2 | 6 | 23:17 | 26 |
| მესხეთი | 16 | 7 | 4 | 5 | 36:29 | 25 |
| ცხუმი | 16 | 7 | 2 | 7 | 27:21 | 23 |
| განთიადი | 16 | 7 | 1 | 8 | 23:32 | 22 |
| საო | 17 | 6 | 1 | 10 | 21:30 | 19 |
| მრეტები | 16 | 3 | 5 | 8 | 15:28 | 14 |
| ვარძია | 17 | 4 | 2 | 11 | 15:42 | 14 |
| არაგვი | 17 | 3 | 1 | 13 | 17:43 | 10 |

აღმოსავლეთი.

„ბ“ ზონა

XVII ტური

7 მაისი

**ლოკომოტივი 2 1:0 სამგორი**

1:0 ჩაჩუა (14პ)
გაფრთხილება: ისკანდეროვი (სამგორი)
მსაჯი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**ალაზანი 1:0 აკადემია**

1:0 მიკუჩაძე (25)
გაფრთხილება: ტოკლიკიშვილი (ალაზანი), ვაშაკიძე (აკადემია)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**ამირანი 1:1 ზოოვეტი**

0:1 გუგუშვილი (16), 1:1 ჩანადირი (30)
გაფრთხილება: კევლიშვილი (ზოოვეტი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ჭაბუკიანი 4:2 ხალიბი**

1:0, 2:0, 3:0 მერებაშვილი (27, 47, 60), 4:0 მეტრეველი (80), 4:1 მიქავა (85), 4:2 გ. მიქაძე (88)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**არსენალი 2 4:0 თბილისი 2**

1:0 საბიაშვილი (4), 2:0, 3:0 ეგაძე (25, 65), 4:0 საბიაშვილი (90)
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 16 | 13 | 1 | 2 | 33:12 | 40 |
| არსენალი 2 | 17 | 11 | 4 | 2 | 33:17 | 37 |
| ჭაბუკიანი | 16 | 10 | 2 | 4 | 30:11 | 32 |
| ალაზანი | 16 | 10 | 2 | 4 | 37:17 | 32 |
| ზოოვეტი | 16 | 9 | 4 | 3 | 35:22 | 31 |
| ამირანი | 17 | 7 | 3 | 7 | 26:31 | 24 |
| ხალიბი | 17 | 5 | 2 | 10 | 20:32 | 17 |
| აკადემია | 16 | 4 | 4 | 8 | 11:13 | 16 |
| თბილისი 2 | 16 | 3 | 4 | 9 | 18:28 | 13 |
| სამგორი | 17 | 2 | 1 | 14 | 17:52 | 7 |
| ყვარელი | 16 | 2 | 1 | 13 | 12:41 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი 10 ტური

# ბოლომდე მოგიწევთ მოცდა



იბერიელი შალვა ბიწაძე და ტორპედოელი დავით ჯანაშია

ᲝᲗᲮᲘ ტური და ოცი დღეღა დარჩა მეთერთმეტე ეროვნულის დამთავრებამდე. ძალიან ცოტა დრო არ გეგონოთ, ამ ხნის მანძილზე შეიძლება სასწაულიც კი მოხდეს, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ნამდვილად ახდება „ტორპედოს“ თავკაცის, დავით ყიფიანის პროგნოზი. არა, ყიფიანს აქამდე გაუგონარიც არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ბევრისგან განსხვავებით, მოკლედ მოჭრა, საქართველოს ჩემპიონ გათამაშების ბოლო ტური გამოავლენსო.

მანამდე კი ტურიდან ტურამდე იძაბება ვითარება, საპრიზო ადგილებისთვის დაუღალავი და დაუნდობელი ბრძოლაა გამოცხადებული.

დაძაბულ მატჩებს რაღა სჯობს, ალმავლობის საწინდარია გაორკეცებული კონკურენცია, მაგრამ საბოლოო მიზნის მისაღწევად ყველა გზა და ხერხიც რომ არ ვარგა, ესეც ცხადზე უცხადესია.

დასკვნითი ეტაპის მეათე ტურში მხოლოდ ერთი, კინკილა მატჩი გამოდგა დაძაბულიც, საინტერესოც და ლამაზი სანახავიც. ბათუმში ორი „დინამო“ „შეასკდა“ ერთმანეთს. მატჩის საბოლოო შედეგი (ანუ განაჩენი) მაინცდამაინც სახარბიელო არ გამოდგა მეტოქეებისთვის, მაგრამ კონკურენტები რომ აზეირა, ფაქტია.

„ტორპედოსა“ და „ლოკომოტივის“ (აგრეთვე ეროვნული ნაკრების) მწვრთნელებმა თავიანთი გუნდების თავკაცობას ბათუმური მატჩის ხილვა არჩიეს. ძოძუაშვილმაც და ყიფიანმაც ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირეს, თავიანთი უშუალო მეტოქეების (თასის გათამაშებაში) დღევანდელი მზადყოფნის შემოწმებაც შეძლეს და, ალბათ, სანაკრებოდაც შეიგულეს ახალი კანდიდატები.

ბათუმურმა მატჩმა კი მოლოდინი გაამართლა. საგოლე მომენტებით დახუნძლულ მატჩში გოლი არ გასულა. ხან თავდამსხმელებმა ვერ გაასწორეს სამიზნე, ხანაც მეკარეებმა გააუვნებელყეს მკვდარი ბურთები. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ნიკოლოზ ტოგონიძემ და სოსო გრიშიკაშვილმა წლეულს თავიანთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს.

თამაშისას იყო მომენტები, როცა თავიანთი ფეხბურთელების შეცდომების შემდეგ ჯანი კარნევალი დასაბმელი შეიქნა, ხოლო ოთარ კორღალიძე ორიოდ წუთი გაშეშებული იდგა. ბევრი ემოცია და ძალა წაიღო იმ დაპირისპირებამ და სულ მალე ვნახავთ, ვინ როგორ მოახერხა ძალების სრულად აღდგენა.

„ბათუმი“-„დინამო“ ერთი რამითაც გამოირჩა. ბევრ გულშემატკივარს თამაშის დაწყების დრო შეეშალა და დაახლოებით ორი ათასამდე ქომაგი ოთხის ნახევარზე უკვე „დინამოს“ ტრიბუნებზე იყო მოკალათებული. სულ რვა ათასმა კაცმა იხილა თავსხმა წვიმაში დაძაბული თამაში.

ყიფიანისა და ძოძუაშვილის ბათუმში ჩასვლა გასაგებია, მაგრამ მეათე ტურს კიდევ ერთი გუნდი შეეგება უმწვრთნელოდ. ქუთაისელმა სოსო ფრუიძემ „იბერია“-„ტორპედოს“ ხილვას შინ, ოჯახთან ერთად ყოფნა არჩია.

სამტრედიელთა მწვრთნელმა ყოველივე შეგნებულად გააკეთა და ამაში არც ვამტყუნებთ. ფრუიძეს ჰქონდა საიმისო მიზეზი, თამაშზე არ მისულიყო და ეს დღეს გასარჩევი არც გახლავთ. ისე, ვერც მწვრთნელის ყოფნა შეუცვლიდა რამეს „იბერიას“. „ტორპედოს“ წამითაც არ გაუხდია საეჭვოდ თავისი გამარჯვება. სამი გოლი გაუტანა სტუმარმა მასპინძელს, ორი ამდენი საგოლე მომენტიც ქარს გაატანა და



მერანელი გიორგი ილურიძე და რუსთაველი ვარლამ კილასონია

„დონამოსთან“ სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა.

სამტრედიაში ახალგაზრდული ნაკრების წევრმა მალხაზ ასათიანმა თავისი გოლების ანგარიშს დაუდო სათავე. ტორპედოელმა ცხრა არასრულ მატჩში პირველი გოლი გაიტანა და ვნახოთ, იმედია, ამიერიდან კიდევ მრავალჯერ გამოიჩენს თავს.

ზემოთ ვთქვით, „ტორპედომ“ „დინამოს“ ხუთი ქულით გაუსწროო, თუმც ქუთაისელებმა ახალგაზრდა ვეტერინარები მიიახლოვეს. ამათ შორის ოთხი ქულაა გაჩხერილი, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო, ამბობენ ვიტელები.

„ვიტ ჯორჯიამ“ გორის „დილას“ სტუმრად მოუგო, მაგრამ აქვე იმასაც დავძენთ, რომ კოტრიკაძის შეგირდებმა საკადრისად ვერ ითამაშეს.

ვლადიმერ გოჩაშვილმა როგორღაც მოახერხა და მასპინძელთა კარში ორი ბურთი შეაგდო, მაგრამ მან და მისმა თანაგუნდელებმა ოთხჯერ ორი საგოლე მომენტიც გააცუდეს.

უმოტივაციო „დილა“ კი იდგა და მთელი მეორე ტაიმი ბუზებს უფრო ითვლიდა, ვიდრე ფეხბურთს თამაშობდა. ასეა, როცა ჩემპიონატში ზოგიერთებს ინტერესი გაუქრებათ.

ფოთის „კოლხეთი“ მადაზეა მოსული. ახლა ნანობენ კოლხები, თავის დროზე ქულები უმიზნოდ რომ არ გვეფანტა, ახლა ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდითო.

ჩემპიონობისა რა მოგახსენოთ, მეთერთმეტე ეროვნულის „კოლხეთისთვის“ ეს ტიტული მეტად შეუფერებელი იქნებოდა, მაგრამ ქულები რომ არ ეფანტათ, იქნებ ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვისაც გამოეკრათ ხელი.

„ფაზისის“ სტუმარი ამჯერად ბოლნისური „სიონი“ იყო. ფოთელებს ქვემო ქართლში განცდილი მარცხი დღემდე მწარედ ახსოვთ და ალბათ ამიტომაც იყო, სტუმრები რომ არ დაინდეს.

თამაშის წინადღით „კოლხეთის“ ნახევარმცველ ზაველი ღლანიძეს ქალიშვილი შეეძინა, ამან იმოქმედა თუ რა იყო, ახალგამომცხვარი მამა მინდორზე ვერავინ დააკავა. პირველი გოლი თავად გაიტანა, მომდევნო სამშიც ლომის წილი დაიდო და „სიონის“ ცოდვაც პირველ რიგში მის კისერზეა.

„ბ“ ზონაში და საერთოდაც მეთერთმეტე გათამაშებაში თავისი მისია საბოლოოდ ამოწურა ხობის „კოლხეთმა“. ხობელებმა თავიანთი მორიგი მატჩი წააგეს სენაკში. ამჯერად „თბილისმა“ გაიხსენა გამარჯვების გემო, თუმც მისი და ასევე „არსენალის“ ჯგუფიდან გავარდნის საქმეც კიდევ ერთი ტურის ამბავია.

თავიდან „ხობი“ კი იგებდა და ფიქრობდა კიდეც, ალბათ, მთლად უსახელოდ არ გავვარდებიო, მაგრამ ეს იმედიც მალევე გაქრა. თბილისელი მანჭარაულის გამოჩენის შემდეგ მინდორზე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მასპინძლებმა სტუმრები ვერაფრით შეაჩერეს და მალევე დანებდნენ.

დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველ ჯგუფში პირველად გამოჩნდა ქარელელი მსაჯი გურამ ასკაროლლი. „დაემუქრა“ კიდეც „სარბიელს“, თუ ჩემზე კარგს არაფერს დაწერთ, თქვენს გაზეთს აღარ ვიყიდიო.

მეტი სანერვიულო არ მოგვცეს ღმერთმა არც ჩვენ და არც თქვენ, ბატონო მსაჯო, მაგრამ იმაში კი ნამდვილად შეცდით, „სარბიელი“ ჩემს მსაჯობაში მხოლოდ ცუდს ხედავსო, რომ თქვით. გვაჩვენეთ კარგი და მოხვდებით ჩვენს გაზეთში, შეცდომებზე მითითება კი არა გვგონია, ჩვენი დანაშაული იყოს.

თსუ-„არსენალის“ დაპირისპირება პარასკევს შედგა. არმიელებს ძალიან არ სურდათ წაგება, იბრძოლეს, მაგრამ სტუდენტებს ვერაფერი დააკლეს. ნელ-ნელა „იძირებიან“ ავლაბრელები და ყველაფრის გათვალისწინებით ეს კანონზომიერია.

წყალტუბოს „სამგურალმა“, რომელიც თსუ-ს კუდში მისდევს და გავარდნას გადავრჩებიო, დაუჩემებია, თითქმის სათადარიგო გუნდით მოთამაშე „ლოკომოტივს“ მოუგო. ეს არც იყო გასაკვირი, რკინიგზელები მხოლოდ თასისთვის ილვწიან და ჩემპიონატი სულაც არ აღელვებთ. აქაურ თამაშებს სათასო ორთაბრძოლებისთვის სამზადისად თუ გამოიყენებენ.

რუსთავში „გორდა“ „მერანს“ დაუზავდა. თავიდან „გორდამ“ დაიწყო აქტიურად, მერე „მერანმა“ იძალა და სტუმარ-მასპინძელმა გოლები გაცვალეს.

ისე, მაინცდამაინც თავი შეაკლეს ერთმანეთსო, ვერ დავიჩემებთ. ჩემპიონატის ფინიშზე ორივე არხეინადაა და თამაშიც შესაბამისი გამოვიდა.

რუსთაველთა თავკაცმა 53-ე წუთზე ცვლილებათა მარაგი ამოწურა და მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე დაშავებული ვაჟი ველარ შეცვალა. კახა ალადაშვილმაც ტრავმირებულმა ჩაამთავრა შეხვედრა.

არა, ჩემპიონატში ყველაფერი რომ გაირკვეს, მაინც ბოლო ტურამდე მოგვიწევს ლოდინი. ფეხბურთში ბევრი რამ ხდება გაუთვალისწინებელი. 31 მაისს ყველაფერი ნათელი იქნება. იმ დღეს ჩემპიონიც გვეცოდინება, ვიცეჩემპიონიც და ბრინჯაოს (საქართველოში პირობითი მედალია) მფლობელიც.

ევროსარბიელზე გასულებიც სიმაღლის მიხედვით დაეწყობიან და სამარჩიელოც აღარაფერი დარჩება.

მანამდე კი მეათე ტურმა თავისი საქმე მაინც გააკეთა. 8 მატჩში გასული 16 გოლი არც ცოტაა და არც ბევრი. სტუმარმა სამ თამაშში იმარჯვა, მასპინძელმაც — სამში. ორი კი ფრედ დასრულდა.

წინ მეთერთმეტე ტურია — მეთერთმეტე ეროვნულის მეთერთმეტე!

**მამუკა ქვანტალიანი**

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 21 - | იონანიძე | ტორპედო |
| 17 - | ვ. კილასონია | გორდა |
| 12 - | აშვეთია | დინამო |
| | ალექსიძე | დინამო |
| | გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 11 - | მეგრელაძე | ტორპედო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 9 - | ქებაძე | ლოკომოტივი |
| | ხორგუაშვილი | დილა |
| | ციტაიშვილი | დინამო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 10 ტური

## „ა" ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 10 |
| მატჩი | 40 |
| გოლი | 98 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,45 |
| მასპინძელთა მოგება | 21 (52%) |
| ფრეები | 10 (25%) |
| სტუმართა მოგება | 9 (33%) |
| საერთო დასწრება | 117 900 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 947 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | IV,V: 15 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 48 | 12,00 |
| სტუმარი | 55 | 13,75 |
| სულ | 103 | 25,75 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 16 | 4,00 |
| სტუმარი | 22 | 5,50 |
| სულ | 38 | 9,50 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 22 | 5,50 |
| სტუმარი | 34 | 8,50 |
| სულ | 56 | 14,00 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 28 | 7,00 |
| სტუმარი | 26 | 6,50 |
| სულ | 54 | 13,50 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 13 | 3,25 |
| სტუმარი | 19 | 4,75 |
| სულ | 32 | 8,00 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 58 | 14,50 |
| სტუმარი | 55 | 13,75 |
| სულ | 113 | 28,25 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 15 | 3,75 |
| სტუმარი | 17 | 4,25 |
| სულ | 32 | 8,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 17 | 4,25 |
| სტუმარი | 18 | 4,50 |
| სულ | 35 | 8,75 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 25 | 6,25 |
| სტუმარი | 12 | 3,00 |
| სულ | 37 | 9,25 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 14 | 3,50 |
| სტუმარი | 16 | 4,00 |
| სულ | 30 | 7,50 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

## „ბ" ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 10 |
| მატჩი | 40 |
| გოლი | 96 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,4 |
| მასპინძელთა მოგება | 23 (57%) |
| ფრეები | 6 (15%) |
| სტუმართა მოგება | 11 (28%) |
| საერთო დასწრება | 24 400 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 610 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III,VII: 2 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I,VII,IX,X: 100 |

### ბათუმი 0:0 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 20 | დაჯარიმდა | 21 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 6 | კარში დარტყმა | 7 |
| 4 | თამაშგარე | 4 |

### იბერია 0:3 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 4 | დაჯარიმდა | 17 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 7 | კარში დარტყმა | 7 |
| 1 | თამაშგარე | 6 |

### დილა 0:2 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 11 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 6 | კარში დარტყმა | 7 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

### კოლხეთი 5:0 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 5 | დაჯარიმდა | 6 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 9 | კარში დარტყმა | 5 |
| 6 | თამაშგარე | 2 |

### თსუ 2:0 არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 10 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 10 | კარში დარტყმა | 2 |
| 7 | თამაშგარე | 1 |

### სამგურალი 1:0 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 21 | დაჯარიმდა | 17 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 7 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 8 |

### გორდა 1:1 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 8 | დაჯარიმდა | 19 |
| 2 | კუთხური | 8 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 5 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

### ხობი 1:2 თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 9 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 5 |

## სიმბოლური ნაკრები

შალვა აფხაზავა *ბათუმი*
დავით ჯანაშია *ტორპედო*
ამირან მუჯირი *ბათუმი*
გიორგი ნემსაძე *დინამო*
თენგიზ სიჭინავა *დინამო*
ზაველი ლალანიძე *კოლხეთი*
ზურაბ არჩვაძე *ბათუმი*
ირაკლი ვაშაკიძე *დინამო*
ვახტანგ ხვადაგიანი *ტორპედო*
რევაზ ქემოკლიძე *დინამო*
სოსო გრიშიკაშვილი *დინამო*

გუნდი: დინამო
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე *დინამო*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 26:9 | 17 | 38 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:2 | 14 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 7 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 4 | 0 | 11:4 | 7 | 34 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 2 | 9 | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 13 |
| 3 | დინამო | 10 | 3 | 7 | 0 | 10:2 | 8 | 33 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 5 | 1 | 4 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 4 | ბათუმი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:7 | 7 | 30 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:2 | 9 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 7 |
| 5 | კოლხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:8 | 5 | 28 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 9 | 13 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | -4 | 2 |
| 6 | სიონი | 10 | 2 | 1 | 7 | 10:22 | -12 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 0:13 | -13 | 0 |
| 7 | დილა | 10 | 2 | 0 | 8 | 9:21 | -12 | 16 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:15 | -10 | 0 |
| 8 | იბერია | 10 | 2 | 1 | 7 | 5:25 | -20 | 16 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:18 | -16 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | მერანი | 10 | 6 | 4 | 0 | 11:2 | 9 | 30 | 5 | 3 | 2 | 0 | 6:0 | 4 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 |
| 10 | ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:3 | 14 | 29 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:1 | 7 | 11 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:2 | 7 | 9 |
| 11 | გორდა | 10 | 6 | 2 | 2 | 17:5 | 12 | 28 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 4 | 7 |
| 12 | თსუ | 10 | 6 | 0 | 4 | 13:10 | 3 | 26 | 5 | 4 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 13 | სამგურალი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:6 | 3 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 12 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 14 | არსენალი | 10 | 3 | 0 | 7 | 11:20 | -9 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:11 | -1 | 9 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:9 | -8 | 0 |
| 15 | თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:19 | -11 | 14 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:13 | -9 | 3 |
| 16 | ხობი | 10 | 1 | 0 | 9 | 10:31 | -21 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 6:16 | -10 | 3 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:15 | -11 | 0 |

# «ა» ზონა

ბათუმი
6 მაისი
18 საათი
დინამო
8 000 (ტევადობა 20 000)

### ბათუმი 0:0 დინამო

ბათუმი: ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე (მაჭუტაძე 67), მ. მახარაძე, ხუჯაძე (რომანაძე 78), სიდამონიძე, ტულუში (ლლონტი 46), ი. მახარაძე, ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; თედორაძე, ქაცარავა, სიხარულიძე
დინამო: გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე (ქემოკლიძე 71), ნემსაძე, წიტაიშვილი (ზირაქიშვილი 60), სიჭინავა, პ. ჯინჭარაძე, გ. შენგელია (მინაშვილი 60), ანჩაბაძე, შაშიაშვილი
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; რუხაძე, გაბიდაური, მონასელიძე
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

სამტრედია
6 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 14 000)

### იბერია 0:3 ტორპედო

0:1 იონანიძე (27), 0:2 ჯანაშია (61), 0:3 ასათიანი (83)
იბერია: ვარდანიძე, ჟვანია, ბიწაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე (თ. მაღლაკელიძე 55), მ. ჯინჭარაძე, ხურციძე, ივეჩიანი, მუმლაძე (ნ. გიორგაძე 56), კ. ჯანაშია (დ. ნოზაძე 50), ს. გიგიაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; გედენიძე, ზ. მეტრეველი
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი (თავბერიძე 56), მახვილაძე, ამისულაშვილი, ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე (ასათიანი 46), ვაჩიბერაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე (იმედაძე 46)
*სათადარიგონი:* ზოიძე; შეყრილაძე, თურმანიძე, მ. ბობოხიძე
მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

გორი
6 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:2 ვიტ ჯორჯია

0:1, 0:2 ვ. გოჩაშვილი (61, 66)
დილა: სოლოლაშვილი (მდივანი 46), აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ხ. გაგნიძე, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი (ფეზუაშვილი 56), ოლგესაშვილი (კარელიძე 76), ციცქიშვილი, საყვარელიძე, არუთინიანი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მარეხაშვილი, ელყანიშვილი, ებანოიძე, კოჭლაშვილი
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, საჯაია, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე (დილმელაშვილი 34), კობიაშვილი, მორჩილაძე (ლ. ნოზაძე 46), ყიფიანი, კოტორაშვილი, რ. გოცირიძე (ი. ხაჭაპურიძე 51), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, დ. დოლიძე
გაფრთხილება: ჭანკოტაძე (25), არუთინიანი (25), საყვარელიძე (30), რ. ხაჭაპურიძე (37)
გაძევება: საყვარელიძე (80)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. მეშკოვი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ფოთი
6 მაისი
18 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 500)

### კოლხეთი 5:0 სიონი

1:0 ლალანიძე (7), 2:0 დავითნიძე (30), 3:0 გვასალია (33), 4:0 ქობულაძე (39), 5:0 ფანჩულიძე (68)
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ახალკაცი (შავგულიძე 69), კიკლიაშვილი, მ. ქობულაძე (პაპავა 65), ე. გვასალია (კვირკველია 81), ლალანიძე, შალამბერიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; კედელაშვილი, გ. ჩიტაია
სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, დიმიტრიშვილი, მ. სამხარაძე (ელბაქიძე 69), ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, მოსეშვილი, კ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* ვოლკოვი; დ. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე, ისიანი
მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა, მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

# «ბ» ზონა

მცხეთა
5 მაისი
18 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

### თსუ 2:0 არსენალი

1:0, 2:0 წუწუნავა (9, 37)
თსუ: მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე (ახალაძე 68), ხართიშვილი, ადამია, წუწუნავა (ქადაგიძე 89), დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი (გ. გოცირიძე 80), დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ბარქაია, ლობჟანიძე, თ. ბოკერია
არსენალი: კუპატაძე, ე. ალადაშვილი (ჩალაძე 57), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, სულაძე (წოწკოლაური 61), შუკაკიძე, ი. კაპანაძე, კაკაშვილი, ხმალაძე, ქოიავა, ტულუში
*სათადარიგონი:* თ. ქაცარავა; ხარებავა
გაფრთხილება: კაკაშვილი (25), ქოიავა (53), ალადაშვილი (56), ინწკირველი (63)
მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ურუშაძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი), თ. ლაცაბიძე (სურამი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

წყალტუბო
6 მაისი
18 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 1:0 ლოკომოტივი

1:0 ქუთათელაძე (70)
სამგურალი: სტურუა, ჭელიძე, ჩხაბერიძე, ბერაძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ქყონია 55), ფუტკარაძე (ხუნდაძე 46), გიორგობიანი, ნებიერიძე (ზ. ქუთათელაძე 46), დარსაძე, კვერნაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; გ. გოგოლაძე, ბაბუნაშვილი, ვადაჭკორია
ლოკომოტივი: ძლანაძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, სალუქვაძე, ვ. გველესიანი (აბრამიძე 6), ონიანი, კაციაშვილი, ლ. ჩხაიძე, დ. გოდერძიშვილი, ხუროძე, გულორდავა (ლ. მიქაძე 46)
*სათადარიგონი:* ლომაია; ძოძუაშვილი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კაკაჩიაშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); თ. ლაცაბიძე (სურამი);
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

რუსთავი
6 მაისი
18 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

### გორდა 1:1 მერანი

1:0 ვ. კილასონია (11), 1:1 კობესაშვილი (32)
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბურნაძე (მ. სახვაძე 46), ბექაური, გაბელაია, გ. კილასონია (ბაჩილავა 45), მელაძე, კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე, მიშველიძე (ა. ბუკია 53), ვ. კილასონია
*სათადარიგონი:* გონგაძე; პატარიძე, კიტეიშვილი, სილაგაძე
მერანი: ნაჭყეპია, ამბიძე, ცქიფურიშვილი, გუჯაბიძე, გ. ილურიძე, ბოლქვაძე, ხორხელი (კოშკაძე 46), როსტიაშვილი, დევიძე, კობესაშვილი, კაკაბაძე
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ივანიშვილი, დავითაშვილი, ჯიშკარიანი, ჭინჭარაული, ჩანადირი
მსაჯები: ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი

სენაკი
6 მაისი
18 საათი
ეგრისი
300 (ტევადობა 3 000)

### ხობი 1:2 თბილისი

1:0 ვ. ჩიტაია (10), 1:1 ჩივაძე (39), 1:2 მანჭარაული (73)
ხობი: ნოქაბერიძე, ჯგამურია, მ. ტყებუჩავა (დ. ჩიტაია 80), ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, ოდიშარია, ვ. ჩიტაია, ზაზა აიანადი (ქოქონაძე 46)
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; ა. ჯიქია, ლ. ბუკია, ლატარია
თბილისი: მამალაძე, ზამთარაძე, ძაგნიძე, ჩივაძე, ყუფარაძე, დ. ტყებუჩავა, ამაშუკელი, ბურდული, კოხრეიძე (მანჭარაული 58), ი. შენგელია, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* კოდალაევი; სალარეიშვილი, სულაქველიძე
გაფრთხილება: ზამთარაძე (11), ვართაგავა (49), ალანია (65), ალანია (69), კოხრეიძე (56), შენგელია (75)
გაძევება: ალანია (69)
მსაჯები: გ. ასკაროლლი; გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე, ზ. ანიაშვილი (ორივე გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

## სერჯიო კრანიოტი:

# ჩვენი ფეხბურთი უსინდისო ხალხის ხელშია

## გაზეთებმა იუვენტუსს 5 ნაჩუქარი მოგება დაუთვალეს



ეს წუთია, პარმელ ფაბიო კანავაროს „იუვენტუსის" კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს



რისხვადატეხილი მსაჯი მასიმო დი სანტისი

სერია A-ს 33-ე ტურში რომის „ლაციო" „ბოლონიას" შეხვდა და დაამარცხა. საპასუხო სიტყვა „იუვენტუსზე" იყო, მისცემდა თუ არა მდევარს დაწევის საშუალებას? ტურინელები „პარმას" მასპინძლობდნენ. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, მე-60 წუთზე გატანილი ალესანდრო დელ პიეროს გოლი ერთადერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — შეხვედრის დასრულებამდე წუთით ადრე კანავარომ ედვინ ვან დერ სარის კარი დალაშქრა. „იუვე", სკუდეტოს დაუფლების უდავო ფავორიტად რომ ითვლებოდა, საფრთხის წინაშე დადგა — ორი ქულის დაკარგვა შესაძლოა საბედისწერო ყოფილიყო. მაგრამ არა, ულრმესი მადლობა ტურინელებისგან მსაჯ მასიმო დი სანტისს, რომელმაც აბსურდული საბაბით გოლი არ ჩათვალა. არბიტრი განმარტავს: კანავარომ რომ დაარტყა, შევნიშნე, სადღაც იქით ვილაცეები ძიძგილაობდნენო. არგუმენტიც ასეთი უნდა!

მსაჯები ცდებიან ხოლმე, თანაც საკმაოდ ხშირად. ეს შემთხვევაც თითქოს დი სანტისის მისამართით ნათქვამი ერთი-ორი უკმეხი სიტყვით უნდა დასრულებულიყო. სხვაგვარად მოხდა. მატჩის მეორე დღეს იტალიური სპორტული გაზეთების პირველ გვერდზე დიდი შრიფტით დაიბეჭდა: „ეს სკანდალია!", „რაც გუშინ მოხდა, უსინდისობაა! რაღაც უნდა ვიღონოთ!"

ვთქვით, რომ მსაჯები ცდებიან, მაგრამ იტალიელები კითხულობენ: რატომ ცდებიან ისინი მუდამ „იუვენტუსის" სასარგებლოდ? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო სამ წელიწადში ტურინელთა საეჭვო გამარჯვებებზე ხალხი უკვე მეორედ ალაპარაკდა, სკანდალია, აბა, რა!

სერჯიო კრანიოტი, „ლაციოს" პრეზიდენტი: „რა მოხდება ბოლო ტურში, აღარ მაინტერესებს, თუმცა რა მიხვედრა უნდა — „იუვენტუსს" ჩემპიონის ტიტულს უბოძებენ. იმ თამაშს 55 ათასი მაყურებელი დაესწრო, მილიონებმა ტელევიზიით ნახეს. თუნდაც ერთმა კაცმა ახსნას, რატომ არ ჩაითვალა კანავაროს გოლი. ისე, საქმე საქმეზე თუ მიდგა, სწორედ ტურინელები ეუხეშნენ ჯერ კრესპოს და მერე კანავაროს. ჩვენი ფეხბურთი უსინდისო ხალხის ხელშია. განა წინა სეზონშიც ასე არ დაგვაკარგინეს ჩემპიონობა?!"

იტალიურმა გაზეთებმა კი უკვე გამოაქვეყნეს იმ მატჩების სია, რომლებიც „იუვენტუსმა" მსაჯების დახმარებით მოიგო. მიმდინარე სეზონში ასეთი ხუთია. ...5 თამაში — 15 ქულა, რა კარგია!

**გიორგი დარჯანია**



## ტიერი დანიელ ანრი

დოსიე

დაიბადა 1977 წლის 17 აგვისტოს, პარიზში
სიმაღლე: 188 სმ, წონა 83 კგ
დებიუტი პრემიერლიგაში: 1999 წლის 7 აგვისტოს, „არსენალი" — „ლესტერი" 2:1
საფრანგეთის ჩემპიონი (1996/97) „მონაკოს" შემადგენლობაში
1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი

შაბათს „ჰაიბერიზე" პრინციპული ლონდონური დერბი შედგა. „არსენალმა" „ჩელსის" უმასპინძლა, 2:0 დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ორჯერვე ტიერი ანრიმ გამოიჩინა თავი და დუბლი შეასრულა. საერთოდაც, ბოლო დროს ეს ფრანგი ჩინებულად თამაშობს და რჩეულობის ღირსიც ნამდვილად არის.

ანრი „არსენალის" ამჟამინდელი თავკაცის, არსენ ვენგერის ძველი შეგირდია. ისინი „მონაკოში" ერთად მოღვაწეობდნენ.

— ტიერი ყოველთვის ძლიერი იყო. ეს მისი ბუნებრივი ნიჭია. მწყობრი აღნაგობა აქვს, თანაც ტექნიკურია და ნებისმიერ მცველს გაუმკლავდება — ამბობს ვენგერი — თავიდან, როცა „არსენალში" გადმოვიდა, ცოტა შემეშინდა, ფორმაში არ იყო, პირველ შეხვედრებში დენის ბერხკამპთან შევაწყვილე, მაგრამ ვერაფერს გახდა. რამდენიმე თამაშში კიდევ ვენდე და გამიმართლა.

საინტერესოა, რას ფიქრობს თავად ტიერი: „არსენალში" თავიდან გამიჭირდა, კარგა ხანს გოლი ვერ გავიტანე. ფეხბურთში აღზევების და დაცემის პერიოდები ხშირია. ახლა უკეთეს ფორმაში ვარ. და მიხარია, რომ „არსენალისთვისაც" სასიკეთო საქმეს ვაკეთებ."

ანრის კარიერას დავუბრუნდეთ. ფეხბურთელმა პროფესიულ დონეზე თამაში „მონაკოში" დაიწყო. სადებიუტო მატჩში 1994 წელს გამოჩნდა მინდორზე „ნიცას" წინააღმდეგ.

1996 წლის შემდეგ საფრანგეთის 18-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა დააინტერესა და პირველ გუნდშიც მიიწვიეს. სადებიუტო მატჩი 1997 წლის ოქტომბერში სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან ჩაატარა. ანრი 1996 წელს საუკეთესო ახალგაზრდა ფრანგ ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ „მონაკოსთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ორი წლის წინ კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

პერსპექტიული თავდამსხმელით მრავალი ევროპული გრანდი დაინტერესდა. საბოლოოდ იგი „იუვენტუსმა" შეიძინა, თუმც იტალიაში ვერაფრით გამოიჩინა თავი და პრემიერლიგას მიაშურა.

**ნიკა შუბლაძე**



ფეხბურთი მსოფლიოში

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ „დერბის" მწვრთნელი ჯიმ სმიტი ათასი გირვანქით დააჯარიმა იმის გამო, რომ მსაჯები აუგად მოიხსენია. მწვრთნელის რისხვა ნილ ბარის დაატყდა თავს, რომელიც გასულ თვეში „ტოტენჰემი"—„დერბის" მატჩს ემსახურებოდა და დერბელთა გერმანელი მცველი შტეფან შნური მოედნიდან გააძევა. „ბარი ცუდი მსაჯია — განაცხადა მაშინ სმიტმა — მის კვალიფიკაციაში მუდამ ეჭვი მეპარებოდა". სწორედ ამ სიტყვების გამო მოუხდება მწვრთნელს ჯიბეზე ხელის გაკვრა.

**გერმანიის ჩემპიონმა მიუნხენის „ბაიერნმა" სეზონის ბოლოს, შესაძლოა იური ჯორკაეფი შეიძინოს. 32 წლის ფრანგი ამჟამად „კაიზერსლაუტერნში" თამაშობს, თუმც არ არის გამორიცხული, კლუბი გამოიცვალოს. „იური და მე ერთმანეთს ნამდვილად შევეწყობით — ამბობს „ბაიერნის" ნახევარმცველი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი შტეფან ეფენბერგი. „ბაიერნის" ხელმძღვანელებს და თავად ჯორკაეფს ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ.**

**იტალიური** სააგენტოების ცნობით, მილანის „ინტერმა" მადრიდის „რეალს" ორი არგენტინელი ნახევარმცველის — ფერნანდო რედონდოსა და ხავიერ ძანეტის გაცვლა და დამატებითი თანხა შესთავაზა. სამეფო კლუბის პრეზიდენტ ლორენსო სანსს ჯერჯერობით არაფერი განუცხადებია, უცნობია, რამდენად სერიოზულად აღიქვა მან ხსენებული წინადადება. მადრიდის „რეალი" სეზონის ბოლოს „სევილიას" ბერძენი ლეგიონერის ვასილის ცარტასის გადაბირებას ლამობს და არაოფიციალური ინფორმაციით, სევილიურ კლუბს 10 მილიონ გირვანქას უხდის.

**საფრანგეთის ჩემპიონი „მონაკო" „ბარსელონას" ფორვარდ დანი გარსიას აკვირდება და კატალონიურ გრანდს 12,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. „მალიორკას" ყოფილ ფეხბურთელს უკვე არაერთი ევროპული გუნდი იწვევს, მათ შორის ყველაზე ხშირად პრემიერლიგურ კლუბებს ასახელებენ. თუმცა თავად დანი და „ბარსელონას" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით დუმან. „მონაკო" გაისად ჩემპიონთა ლიგაში საასპარეზოდ ემზადება და რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს ყიდულობს. ისიც არ არის გამორიცხული, ზოგიერთი მოთამაშე გაუშვას კიდეც. გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა თავდამსხმელმა დავიდ ტრეზეგემ თვით „მილანი" დააინტერესა და სეზონის ბოლოს, შესაძლოა იტალიაში აღმოჩნდეს.**

**შვეიცარიული** „გრასჰოპერის" მთავარმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა ცხრა თვის მუშაობის შემდეგ პოსტი დატოვა. „შევცდი, შვეიცარიაში რომ დავბრუნდი" — განაცხადა 53 წლის ინგლისელმა. „გრასჰოპერი" კვირას „ლუცერნთან" 0:2 დამარცხდა. თამაშიდან ორი საათის შემდეგ კი ჰოჯსონი გაათავისუფლეს. შვეიცარიული გაზეთები ირწმუნებიან, რომ იგი ოჯახური პრობლემების გამო გადადგა. სანამ მისი შემცვლელის ვინაობა გაირკვევა, გუნდს დამხმარე მწვრთნელი უოლტერ გრუტერი უხელმძღვანელებს.

**საბერძნეთის ჩემპიონატში, „არისი"—„ოლიმპიაკოსის" შეხვედრაში, ფანებმა იხულიგნეს. პოლიციამ რვა მათგანი დააპატიმრა. სალონიკის „არისი" დისკვალიფიცირებულია და საშინაო მატჩებს ნეიტრალურ სტადიონზე ატარებს. მორიგი ტურის შეხვედრა გუნდმა მიტილინის კუნძულზე ჩაატარა. ფანებს შორის ერთ-ერთი შეტაკება გემზე მოხდა, რომლითაც გულშემატკივრები სტადიონზე მიდიოდნენ. „ჩხუბის შემდეგ გემბანი ოდნავ დაზიანდა — იუწყება ბერძნული პოლიცია — თუმცა სერიოზულად არავინ დაზარალებულა".**

**გერმანიის** სამგზის ჩემპიონი „კიოლნი" ბუნდესლიგას დაუბრუნდა. მეორე ბუნდესლიგის 30-ე ტურში „კიოლნმა" „ჰანოვერი" 5:3 დაამარცხა და ორწლიანი შესვენების შემდეგ უძლიერესთა ლიგაში აღზევდა. გუნდს ჰანოვერში 4000 გულშემატკივარი ჩაჰყვა, რომლებმაც გამარჯვებით დიდად გაიხარეს. „კიოლნი" გერმანიის ჩემპიონი 1962, 1964 და 1978 წლებში გახდა, ხოლო ქვეყნის თასი ოთხჯერ მოიგო (1968, 1977, 1978, 1983). მეორე ბუნდესლიგაში გუნდი 1997-98 წლების სეზონში დაქვეითდა.

**ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მარკ დეგრიზმა მოიპოვა. „ბეერსხოტის" 34 წლის მოთამაშემ გამოკითხვაში ქვეყნის ჩემპიონ „ანდერლეხტის" შვედ ლეგიონერ პარ ზეტერბერგს და „გენტის" ნორვეგიელ ფორვარდ ოლე მარტინ აარსტს აჯობა. ეს უკანასკნელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია (30 გოლით).**

**შოტლანდიელმა** სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო მოთამაშედ „რეინჯერსის" ნახევარმცველი ბარი ფერგიუსონი დაასახელეს. გლაზგოელმა ფეხბურთელმა გამოკითხვაში თანაგუნდელ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტსა და სელტიკელ მარკ ვიდუკას აჯობა. ათიოდე დღით ადრე კი სპეციალისტთა გამოკითხვაში მარკ ვიდუკამ გაიმარჯვა. ფერგიუსონი 22 წლისაა, წლეულს იგი შოტლანდიის ჩემპიონი გახდა და კარგი შანსი აქვს, თასსაც დაეუფლოს. „რეინჯერსი" ფინალში „აბერდინს" შეხვდება.

## უნგრეთი

XXIX ტური. ნადიკანიჟა — ჰონვედი 0:1; მტკ — დიორ ეტო 4:0; შიოფოკი — ფერენცვაროში 2:4; დუნაფერი — ვაცი 7:0; ნიირშეგი — ზალაეგერსეგი 0:0; დიოშდიორი — პეჩი 1:2; დებრეცენი — ვაშაში 4:2; უიპეშტი — ჰალადაში 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 28 | 20 | 7 | 1 | 69:22 | 67 |
| მტკ | 28 | 17 | 8 | 3 | 59:20 | 59 |
| ვაშაში | 28 | 17 | 4 | 7 | 53:26 | 55 |
| ტატაბანია | 28 | 12 | 11 | 5 | 30:30 | 47 |
| ფერენცვაროში | 29 | 12 | 8 | 9 | 53:35 | 44 |
| დებრეცენი | 28 | 12 | 7 | 9 | 42:36 | 43 |
| უიპეშტი | 28 | 10 | 10 | 8 | 44:33 | 40 |
| დიორ ეტო | 28 | 10 | 8 | 10 | 45:32 | 38 |
| ჰონვედი | 29 | 10 | 8 | 11 | 26:33 | 38 |
| პეჩი | 28 | 9 | 10 | 9 | 34:43 | 37 |
| ნიირშეგი | 28 | 10 | 7 | 11 | 29:39 | 37 |
| ზალაეგერსეგი | 28 | 8 | 12 | 8 | 30:26 | 36 |
| ჰალადაში | 28 | 7 | 6 | 15 | 30:45 | 27 |
| ნადიკანიჟა | 29 | 6 | 8 | 15 | 21:41 | 26 |
| დიოშდიორი | 28 | 5 | 7 | 16 | 24:49 | 22 |
| შიოფოკი | 29 | 6 | 6 | 17 | 24:49 | 21 |
| ვაცი | 28 | 3 | 5 | 20 | 23:77 | 14 |

„შიოფოკს" დაკლებული აქვს 3 ქულა

## რუმინეთი

XXXIII ტური. დინამო — ონეშტი 7:1; სტიაუა — გლორია 2:1; არჯეში — ოცელული 3:0; უნივერსიტატეა — ბრაშოვი 1:0; ფარული — ნაციონალი 2:0; ბაკეუ — პეტროლული 3:0; ასტრა — როკარი 3:1; ჩეჰლაული — ექსტენსივი 3:1; რეშიცა — რაპიდი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 33 | 27 | 3 | 3 | 90:35 | 84 |
| რაპიდი | 33 | 21 | 6 | 6 | 62:37 | 69 |
| ჩეჰლაული | 33 | 17 | 6 | 10 | 56:47 | 57 |
| არჯეში | 33 | 16 | 6 | 11 | 45:33 | 54 |
| სტიაუა | 33 | 17 | 3 | 13 | 59:56 | 54 |
| ბაკეუ | 33 | 15 | 6 | 12 | 40:36 | 51 |
| გლორია | 33 | 16 | 2 | 15 | 50:49 | 50 |
| ასტრა | 33 | 13 | 2 | 12 | 43:39 | 47 |
| ნაციონალი | 33 | 14 | 4 | 15 | 56:42 | 46 |
| უნივერსიტატეა | 33 | 13 | 7 | 13 | 44:38 | 46 |
| ოცელული | 33 | 14 | 4 | 15 | 54:52 | 46 |
| როკარი | 33 | 14 | 2 | 17 | 49:52 | 44 |
| ფარული | 33 | 12 | 8 | 13 | 37:43 | 44 |
| პეტროლული | 33 | 13 | 5 | 15 | 47:56 | 44 |
| ბრაშოვი | 33 | 13 | 4 | 16 | 51:43 | 43 |
| ონეშტი | 33 | 8 | 3 | 22 | 35:91 | 27 |
| რეშიცა | 33 | 5 | 8 | 20 | 34:68 | 23 |
| ექსტენსივი | 33 | 4 | 5 | 24 | 26:63 | 17 |

ცოტაც და აღარავის ეხსომება ჩემპიონთა ლიგა, პრემიერლიგა თუ სერია A... 10 ივნისს ბრიუსელში ევრო 2000 იხსნება. ტურნირი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულია. ჩვენც ფინალისტების ამბები თავიდან დავიწყოთ. A ჯგუფში თავი მოიყარეს გერმანიამ, რუმინეთმა, პორტუგალიამ და ინგლისმა.

„ჩინებულია! — შეჰყვირა ინგლისელთა მწვრთნელმა კევინ კიგანმა, როცა ბრიტანელთა თანაჯგუფელი გერმანია გახდა — ერთმანეთისთვის ბევრი გვაქვს დასამტკიცებელი, თუმცა არც პორტუგალია და რუმინეთი უნდა დავივიწყოთ."

„ინგლისელებს სხვა მეტოქეები გვერჩივნა, მაგრამ რა გაეწყობა. დიდი ბრძოლა გველქნება" — ეს ბუნდესნაკრების მწვრთნელის, ერიხ რიბეკის სიტყვებია.

„ჩვენი ჯგუფი სხვებზე ძლიერია, ინგლისთან კლასიკური მატჩი კი, ალბათ, ტურნირის მშვენება იქნება" — ესეც „კაიზერ" ფრანც ბეკენბაუერის აზრი.

17 ივნისს, შარლერუას „კომუნალის" სტადიონზე ინგლისი — გერმანიაა... შორეულ ისტორიას თავი დავანებოთ და თუნდაც ევროპის წინა ჩემპიონატის დრამატული ნახევარფინალი გავიხსენოთ „უემბლიზე". თანაც ორივე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვისაც იბრძვის...

ჯგუფის ფავორიტებად, ცხადია, ამათ მიიჩნევენ. თუმც, კიგანისა არ იყოს, არც პორტუგალია და რუმინეთი არიან ხელწამოსაკრავნი. როცა „სარბიელის" ამ ჩანართს წაიკითხავთ, შეიტყობთ, რომ ესენი უფრო დიდ გულზე არიან.

ერთი საინტერესო ამბავიც. 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე გერმანია ჯგუფში პორტუგალიასთან, რუმინეთთან და ესპანეთთან მოხვდა და... ჯგუფიდან ვერ გავიდა.

## A ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ივნისი | ლიეჟი | გერმანია — რუმინეთი | 21.00 * |
| | ეინდჰოვენი | პორტუგალია — ინგლისი | 23.45 |
| 17 ივნისი | არნემი | რუმინეთი — პორტუგალია | 21.00 |
| | შარლერუა | ინგლისი — გერმანია | 23.45 |
| 20 ივნისი | შარლერუა | ინგლისი — რუმინეთი | 23.45 |
| | როტერდამი | პორტუგალია — გერმანია | 23.45 |

* *დრო თბილისისაა*



თანაჯგუფელ მეტოქეთა მწვრთნელები: ინგლისელი კევინ კიგანი, რუმინელი დუმიტრუ მორარუ (თანაშემწე), პორტუგალიელი უმბერტუ კოელიუ და გერმანელი ერიხ რიბეკი



### გერმანია

გერმანიის საფეხბურთო კავშირი დაარსდა 1900 წელს; პრეზიდენტი: ეგიდიუს ბრაუნი
თამაშებს ატარებს ბერლინში, „ოლიმპიაშტადიონზე" (ტევადობა 76 243), ფრანკფურტში „ვალდშტადიონზე" (61 146), ნიურნბერგში „ფრანკენშტადიონზე" (44 600)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ერიხ რიბეკი
კაპიტანი: ოლივერ ბირჰოფი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: ბაიერნი (მიუნხენი), ბაიერი (ლევერკუზენი), ბორუსია (დორტმუნდი), კაიზერსლაუტერნი, ვერდერი (ბრემენი), ჰამბურგი.
მსოფლიოს ჩემპიონი (3): 1954, 1974, 1990
ფინალისტი (3): 1966, 1982, 1986
ევროპის ჩემპიონი (3): 1972, 1980, 1996
ფინალისტი (2): 1976, 1992



### რუმინეთი

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1909 წელს;
პრეზიდენტი: მირჩა სანდუ
თამაშებს ატარებს ბუქარესტში, „ლია მანოლიუზე" (ტევადობა 70 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ემერიხ იენეი
კაპიტანი: გეორგე ჰაჯი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: სტიაუა (ბუქარესტი), დინამო (ბუქარესტი), რაპიდი (ბუქარესტი), უნივერსიტატეა (კრაიოვა), არჯეში (პიტეშტი)
მსოფლიოს ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი: არ ყოფილა
ევროპის ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი: არ ყოფილა
საუკეთესო მიღწევა: 1994 წლის აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი



### პორტუგალია

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1914 წელს; პრეზიდენტი: ჟილბერტო მადაილი
თამაშებს ატარებს ლისაბონში, ეროვნულ სტადიონზე (ტევადობა 51 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: უმბერტუ კოელიუ
კაპიტანი: ლუიშ ფიგუ
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: პორტუ, ბენფიკა (ლისაბონი), სპორტინგი (ლისაბონი), ბოავიშტა (პორტუ), ვიტორია (გიმარაეში), სპორტინგი (ბრაგა)
მსოფლიოს ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი: არ ყოფილა
ევროპის ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი: არ ყოფილა
საუკეთესო მიღწევა: 1966 წლის ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიკავა მესამე ადგილი, 1984 წლის საფრანგეთის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი



### ინგლისი

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1863 წელს; თავმჯდომარე: ჯეფ ტომპსონი
თამაშებს ატარებს ლონდონში, „უემბლიზე" (ტევადობა 79 045)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: კევინ კიგანი
კაპიტანი: ალან შირერი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: მანჩესტერ იუნაიტედი, ლივერპული, არსენალი (ლონდონი), ჩელსი (ლონდონი), ლიდს იუნაიტედი, ნიუკასლ იუნაიტედი, ასტონ ვილა (ბირმინგემი)
მსოფლიოს ჩემპიონი (1): 1966
ფინალისტი: არ ყოფილა
ევროპის ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი: არ ყოფილა
საუკეთესო მიღწევა: 1968 წლის იტალიის ევროპის თასზე დაიკავა მესამე ადგილი, 1996 წლის ინგლისის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი

ინგლისი

# ორი ბიჭი და მიკი მაუსი



კევინ კიგანი და ნაკრების დებიუტანტი კირონ დაიერი

„სალად მოაზროვნე ყველა ინგლისელი ხვდება, რომ ამ გუნდის დანგრევა ისეთივე უცილობელი ფაქტია, როგორც მისი სტადიონისა“ — ინგლისის ნაკრების წევრებმა ეს ფრაზა „დეილი მეილში“ შარშან, 18 ნოემბერს ამოიკითხეს. წინა დღეს კევინ კიგანის გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

მადლობის მაგიერიაო — ეს მხოლოდ იმ მკითხველს თუ წამოსცდება, ჩვენი გაზეთი პირველად რომ ჩაუვარდა ხელში, თორემ დანარჩენებმა მშვენივრად იციან, რომ ევრო 2000-ის საგზურის დაუფლების სიხარული ინგლისელებმა შოტლანდიელებთან „უემბლიზე“ მარცხით გაანელეს, თავად „უემბლი“ კი ამ წლის ბოლოს, ან ოდნავ გვიან, ძირფესვიანად დაიშლება და მისხალ-მისხალ გაიყიდება.

დიახ, 17 ნოემბერს ინგლისმა ახალი ათასწლეულის პირველ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ ამ ახალ ათასწლეულს წაგებული შეხვდა. სწორედ ამან განარისხა „მეილი“ და ძმანი მისნი. თან ისიც გავიხსენოთ, რომ გასული ათასწლეულის ბოლო წელი ფეხბურთის სამშობლოს ეროვნულმა გუნდმა ასევე მარცხით დაიწყო.

მაშინ, 20 თებერვალს, თითქმის უმწვრთნელო ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონებს „უემბლიზე“ მასპინძლობდა. იმ დროისთვის გლენ ჰოდლი ინვალიდთა შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს იყო შეწირული, ფეხბურთის ასოციაციის მიერ შეგულებული კევინ კიგანი კი „ფულემს“ წვრთნიდა. ამიტომაც იყო, ფრანგების წინააღმდეგ გუნდი „ერთჯერადმა“ მწვრთნელმა, ჰოვარდ უილკინსონმა მოამზადა.

მართალი გითხრათ, იმ თამაშიდან მხოლოდ ზიდანი და კომპანია მახსოვს. არა, უკაცრავად, მახსენდება კიდევ ერთი, მარტინ კიოუნის სახიფათო დარტყმა. მორჩა. ინგლისის ნაკრები, როგორც ასეთი, იმ დღეს მოედანზე არ ყოფილა. უილკინსონის ბრალი იყო თუ, უბრალოდ, საფრანგეთის ნაკრები იდგა ორი თავით მაღლა, ფაქტი ერთია — ფრანგებმა პირველად მოიგეს „უემბლიზე“, სადაც იმ დღემდე გოლიც კი არ გაეტანათ. „მიკი მაუსი გვჭირდება“ — მეუბნება მატჩის მერე, პრეს-ცენტრში, ერთი ჩემი ინგლისელი კოლეგა. „მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვეთ, რომ ალ-ფაედს ბრიტანეთის პასპორტი აღირსოს“ — შივუგე.

ერეკლესი და წითელი არმიისა არ იყოს, თითქოს სად მავანი, თუნდაც მილიარდერი ეგვიპტელის პასპორტი და სად მიკი მაუსად წოდებული კევინ კიგანი? რებუსი ასე იხსნება: დაღუპული პრინცესა დაიანას ბოლო საყვარლის, დოდი ალფაედის მამა მოჰამედი სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად საფეხბურთო კლუბ „ფულემსაც“ ფლობს. შესაბამისად, ამ გუნდის მწვრთნელიც მისი ხელქვეითია. აქედან გამომდინარე, ფეხბურთის ასოციაციას სწორედ ბატონი მოჰამედისთვის უნდა ეთხოვა, ეგ კაცი გვჭირდება და ეგებ დაგვითმოო. როგორი სათხოვნელია? თუმცა ეგვიპტელმა კიდევ ერთხელ სცადა ალბიონელთა გულის მოგება და განაცხადა — ვითვალისწინებ რა ინგლისელთა ეროვნულ ინტერესს, კიგანისთვის გზა დამილოცნიაო. შედეგად, მსოფლიოს უძველესმა საფეხბურთო ორგანიზაციამ „ნიუკასლისა“ და „ფულემის“ ყოფილ მწვრთნელთან სასწრაფოდ კონტრაქტი გააფორმა, ალფაედმა კი ბრიტანული პასპორტი... მაინც ვერ მიიღო.

კიგანი ჯერ ოდენ ხუთმატჩიან სანაკრებო კარიერას დათანხმდა — სწორედ ამდენჯერ უნდა ეთამაშა ნაკრებს შესარჩევი ციკლის ბოლომდე (და ამხანაგური უნგრეთთან): თუ ჰოლანდია-ბელგიაში წამსვლელ ბილეთს მოვიპოვებთ, ხომ კარგი, თუ არა, თავს არ მოგაბეზრებთო. საბოლოოდ, „სამ ლომს“ (ინგლისის ნაკრების მეტსახელია) დამატებით კიდევ ორი, სქოთებთან საპლეიოფო მატჩის გამართვამ მოუწია. იქაც იმარჯვეს, თუმცა ჯახირით, და კიგანიც დარჩა.

არადა, სადებიუტო შეხვედრა ჰქონდა, კაცი იფიქრებდა — მწვრთნელი კი არა, ჯადოქარი უშოვიათ ლანკასტერ გეიტის (ქუჩა, სადაც იქაური ფეხბურთის ასოციაციის შტაბ-ბინაა) მამებსო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა პოლ სქოულზმა „უემბლიზე“ პოლონელებს სამი გოლი გაუტანა და კიგანთან ერთად მატჩის გმირის წოდებაც დაიმსახურა. მერე კი...

From Hero to Zero — ასეთი გამოთქმა მეტად პოპულარულია ინგლისში. ქართულად რომ ვთქვათ, თანაც ოდნავ უხეშად, „გმირობიდან ვირობამდე“ გამოდის. მართალია, ზედმიწევნით თუ ვთარგმნით, Hero გმირია, Zero კი — ნული, სქოულზის შემთხვევაში ამ ფრაზის სწორედ რომ ჩვენებური ინტერპრეტაციაა ზედგამოჭრილი — შვედებთან გადამწყვეტ შეხვედრაში ეს ფეხბურთელი მოედნიდან გააძევეს და კაცნაკლულმა ინგლისმა ლამის საბედისწერო ორი ქულა დაკარგა.

კიგანმა ვერც ბულგარეთს დააკლო ვერაფერი, თუმცა მისი საკეთებელი შვედებმა აკეთეს და ბოლო მატჩში პოლონეთის დამარცხებით ინგლისი ევრო 2000-ის სანაგვე ყუთის ნაცვლად მეზობელ შოტლანდიელებთან საჭიდაოდ გაუშვეს. გლაზგოსა და ლონდონში ნაღდი „ბრეივჰართული“ ბრძოლა გაჩაღდა, ორივე შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს. უბრალოდ, ინგლისელებმა მეტოქეზე ერთით მეტი გაიტანეს.

მოკლედ, ჯერჯერობით, „მიკი მაუსის“ სანაკრებო კარიერაში სამი ნათელი წერტილი იყო: სქოულზის ჰეთ-თრიქი, გამარჯვება გლაზგოს ველზე და 6 გოლი ლუქსემბურგის კარში.

სხვა შემთხვევაში ჯუჯა ლუქსემბურგის კარის ამოვსება, აბა, რა მოსატანი იქნებოდა, მაგრამ იმ მატჩში ერთი ბიჭი ისე თამაშობდა, უთქმელობა არ იქნება. „ნიუკასლის“ მცველ კირონ დაიერზეა საუბარი. ეროვნული გუნდის სასტარტოში პირველად გამოჩენილმა 21 წლის კირონმა, მართალია, ლუქსემბურგელები, მაგრამ მაინც გამორჩეულად აიკლო — ამ თამაშზეც გახლდით და ლამის დავიწვი სტუმართა მარცხენაფლანგელთა (განურჩევლად მცველისა თუ ნახევარმცველის) საცოდაობით. შემდგომ იმაშიც დავრწმუნდი, რომ დაიერს აქეთ მეტად გამოცდილი თავდამსხმელების გაბითურება და იქით არანაკლებ ჭიპმოჭრილ მცველთა გაოგნებაც ძალუძს. ძნელი სათქმელია, ენდობა თუ არა კიგანი ამ ბიჭს ფინალური ეტაპის მატჩებში, მაგრამ დაიერის გამოჩენა ინგლისელთა შებერებულ დაცვას რომ გამოაცოცხლებს, ამას მთელი ინგლისური პრესა ვარაუდობს.

იმავე თამაშში, ლუქსემბურგთან, კიდევ ერთმა ბიჭმა გაიბრწყინა, თუმცა, დაიერისგან განსხვავებით, 20 წლის მაიკლ ოუენისგან, კარგა ხანია, სხვას არც არაფერს ელიან. მაშინ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო გოლის ავტორმა მოედანზე შემცვლელად გასვლიდან რამდენიმე წუთში 30 მეტრიდან გაისროლა და ბურთი მეტოქის (რა მნიშვნელობა აქვს კარში ლუქსემბურგელი დგას თუ ბრაზილიელი) ცხრიანში ჩაჭედა. „ბიჭი ფორმაშია“ — ადგილობრივი ფანობა „უემბლის“ კმაყოფილი ტოვებდა.

მოკლედ, ორი ბიჭი და მიკი მაუსი. ცხადია, ამ ორის გარდა, კიგანის განკარგულებაში კიდევ ოცი ფეხბურთელია. ყოველი მათგანის სათამაშო ფორმა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფსიქოლოგიური სიმყარე (ალავერდი გლენ ჰოდლთან) და თუნდაც ოჯახური პრობლემები დიდად იმოქმედებს მთლიანად ნაკრების გამოსვლაზე, მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ მაიკლ ოუენის და კირონ დაიერის ახალგაზრდულ გზნებას შეუძლია „სამი ლომის“ აღზევება.

ვნახოთ. კიგანი, ყველაფრის მიუხედავად, ინგლისური მედიის მხარდაჭერით დღესაც სარგებლობს: „სასიამოვნო პიროვნება“, „დაუღალავი“, „პრესასთან მეგობრული“, „გამოცდილი“, „ბევრის მნახველი“... თუმცა, ინგლისელი სპეციალისტებისვე აზრით, „ეს ყველაფერი საკმარისი როდია“. ვნახოთ.

რაც მთავარია, 90-იანი წლები წარსულს ჩაბარდა და თან წაიყოლა უიღბლო თერთმეტმეტრიანები:

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი. ინგლისი პენალტებით აგებს გერმანიასთან;

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი. ინგლისი პენალტებით აგებს გერმანიასთან;

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეროთხედფინალი. ინგლისი პენალტებით აგებს არგენტინასთან.

მორჩა. 90-იანები კი არა, საერთოდ ათასწლეულია გალეული.

**ზურაბ მეძველია**



ჯონათან ვუდგეიტი, რეი პარლოუ, მაიკლ ოუენი და გარი ნევილი „მიკი მაუსის“ ვარჯიშზე

## ხდება ხოლმე...

1. კევინ კიგანი თავის დროზე ჩინებულად თამაშობდა და კარგადაც მღეროდა: მისი სიმღერა *Head Over heels* 1978 წელს ინგლისის ჰიტ-ალუმის ათეულში მოხვდა.
2. პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი კევინ ფილიპსი ერთი ხანობა „საუთჰემპტონში“ ისინჯებოდა. მაშინ მას რამდენჯერმე ალან შირერის ბუცების წმენდამ მოუწია.
3. ევრო 96-ის ნახევარფინალში გარეთ საუთგეიტმა გერმანელებს პენალტი ვერ გაუტანა. საკვირველი არაფერია — ამ ფეხბურთელს პენალტი ცხოვრებაში არ გაუტანია.
4. ტონი ადამსის დებიუტი ნაკრებში 1987 წელს შედგა ესპანეთთან შეხვედრაში. მაშინ ის ესპანელთა ახლანდელ მწვრთნელს, ხოსე კამაჩოს დარაჯობდა.
5. ემილ ჰესკის ნამდვილი სახელია ემილ აივენჰო.
6. ძმების, გარი და ფილ ნევილების მამას ნევილი ჰქვია და ნევილ ნევილია.
7. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ალან შირერი „ნიუკასლში“ ისინჯებოდა. საცდელ მატჩში კარში ჩააყენეს, მერე კი შინ გაუშვეს — ამისგან არაფერი გამოვაო.
8. დევიდ ბექემმა მოწაფეობისას ბობი ჩარლტონის შეჯიბრში იმარჯვა. პრიზად ბარსელონაში გამგზავრება და გარი ლინეკერთან შეხვედრა არგუნეს.
9. თვენახევრის წინ ან უკვე ვარსკვლავმა ბექემმა თმის გადაპარსვაში დალაქს 500 დოლარი გადაუხადა.
10. დარენ ანდერტონს მეტსახელად ბიულეტენს ეძახიან. თითქმის სულ ტრავმირებულია და ამიტომ. იგი ევრო 2000-ზეც ვერ ითამაშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

# გერმანული მანქანა უხარისხო ნაწილებით

გაფრთხილება ტოტალიზატორის მოთამაშეთა საყურადღებოდ: არ ჩახვიდეთ ფსონს გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანეს ტურნირებში. გახსოვდეთ, გერმანია იშვიათად თუ რჩება ნახევარფინალს მიღმა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირი ასი წლის წინ, უფრო ზუსტად კი, 1900 წლის 28 იანვარს დაფუძნდა ლაიფციგში. მასში თავდაპირველად 86 კლუბი გაწევრიანდა, კავშირის შტაბბინად კი ფრანკფურტი აირჩიეს. დღევანდელი გადასახედიდან 86 კლუბი, ცხადია, სასაცილოდ ჟღერს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ფეხბურთის განვითარება სწორედ ასე იწყებოდა. ახლა კი...

გერმანიის საფეხბურთო კავშირი უეფას ერთ-ერთი უმსხვილესი წევრია, რასაც ორი გერმანიის გაერთიანებამაც შეუწყო ხელი. ეს უმდიდრესი ორგანიზაცია გახლავთ და ფიფას, უეფას თუ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებას არ საჭიროებს. განა ბევრი ფედერაცია დაიკვეხნის ამგვარი ფინანსური შესაძლებლობებით? ხოლო წარმატებები...

ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი ოთხჯერ გამხდარა, გერმანია (იტალიასთან ერთად) მას ერთით ჩამორჩება. მაგრამ გერმანელთა სტაბილურობა მართლაც შესაშურია. მათ მსოფლიოს თოთხმეტ ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და ცხრაჯერ ნახევარფინალშიც გავიდნენ. გერმანია ექვსჯერ ყოფილა მსოფლიოს უპირველესი შეჯიბრის ფინალისტი. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანული საფეხბურთო მანქანა მუდამ გამართულად მუშაობს.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვთქვით, ევროპის პირველობებსაც გადავხედოთ. ჩვენს კონტინენტს არც ერთი ორგზის ჩემპიონი არ ჰყავს, მხოლოდ გერმანიაა სამგზის ტრიუმფატორი.

ყველაფერი ეს უკვე ისტორიაა. რას წარმოიდგენს ბუნდესნაკრები დღეს, როდესაც ევროპის მეთერთმეტე ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვეღა დარჩა?

ზემოთ ვთქვით, რომ გერმანული საფეხბურთო მანქანა მუდამ გამართულად მუშაობს. მას დაზიანება არ ემუქრება. აი, ზოგიერთი ნაწილის შეცვლა კი ნამდვილად ესაჭიროება...

რამდენიმე დღის წინ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — ნაკრების მეორე მწვრთნელი ული შტილიკე თანამდებობიდან გაათავისუფლა. ცხადია, კარს მომდგარი ჩემპიონატის წინ სამწვრთნელო შტაბში ამგვარი ცვლილება კარგს არაფერს ნიშნავს. გერმანული ფეხბურთის მესვეურები კი პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ და ხელს ერიხ რიბეკისკენ იშვერენ: „რიბეკს და შტილიკეს შორის გუნდის მომზადებასთან დაკავშირებით სერიოზული უთანხმოებები არსებობს. თავად ბუნდესნაკრების მწვრთნელმა ითხოვა თანაშემწის შეცვლა, ჩვენ მხოლოდ ოფიციალური დასტური მივეცით".

ული შტილიკე საფეხბურთო სამყაროში მეტად ავტორიტეტული პიროვნებაა. მადრიდის „რეალის" ყოფილი მოთამაშე, ვისაც ეროვნული ნაკრების მაისურა 42-ჯერ მოურგია და რამდენიმე წლის განმავლობაში შვეიცარიის ნაკრებსაც წვრთნიდა, ამბობს: „რიბეკმა გამომიცხადა, რომ ჩვენი ერთობლივად მუშაობა შეუძლებელია. მას თავისი კონცეფციები აქვს, მე — ჩემი. აზრთა სხვაობა მთლიანად გუნდზე ცუდად იმოქმედებს. დაე, მან თავისი მეთოდებით იმუშაოს, წარმატებას ვუსურვებ".

რიბეკის ახალი თანაშემწე ჰორსტ ჰრუბეში გახდა, ული შტილიკეს ძველი თანაგუნდელი 1980 წლის ევროპის ჩემპიონი ნაკრებიდან. ის კევინ კიგანის მეგობარიცაა, „ჰამბურგში" მხარდამხარ თამაშობდნენ. 17 ივნისს კი მტრებად იქცევიან — გერმანია ინგლისს დაუპირისპირდება.

ერიხ რიბეკს კრიტიკა ნაკრებში მისვლის დღიდან არ დაჰკლებია. საოცარია, ამას ვამბობთ მწვრთნელზე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ...



ერიხ რიბეკი და ლოთარ მათეუსი

ვინ იყვნენ გერმანელთა მეტოქეები? თურქეთი, ფინეთი, ჩრდილოეთ ირლანდია და მოლდოვა. ცხადია, მათგან მხოლოდ თურქეთი შეიძლებოდა ყოფილიყო ბუნდესნაკრების მეტნაკლებად ღირსეული მეტოქე. გერმანია კი თურქეთთან 0:1 დამარცხდა. ამ წაგების მერე დანარჩენთა ძლევა რიბეკის აქტივს ველარაფერს შეჰმატებდა. ბოლოს კი იყო უსახური თამაში და უგოლო ფრე იმავე თურქეთთან.

დღეს რიბეკის კრიტიკოსთა არმია კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. შვეიცარიასთან ძლივს მიღწეულმა ფრემ (ბოლო წუთებზე საეჭვო გოლით) უკმაყოფილებისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. ერიხ რიბეკის მოწინააღმდეგეთა შორის არის ბერტი ფოგთსიც — გერმანელთა ბოლო დიდი გამარჯვების ორგანიზატორი: „რიბეკს პრინციპულობის გამოჩენა უჭირს. უცქირეთ შვეიცარიასთან თამაშს? აშკარად ჩანდა, რომ ზოგ ფეხბურთელს ნაკრების ღირსება არად ულირს და საერთაშორისო მატჩის დროსაც საკუთარ კლუბზე ფიქრობს. მე ამას არ დავუშვებდი".

ამ მოსაზრებას იზიარებს იენს იერემისიც. ბაიერნელმა ნახევარმცველმა რიბეკს ბრალი დასდო, რომ ის ნაკრებში ყველა ღირსეულ მოთამაშეს არ იწვევს. შედეგი? იერემისი შვეიცარიის წინააღმდეგ არ ათამაშეს.

რაკი ფეხბურთელები ვახსენეთ, ბარემ ბელგია-ჰოლანდიაში წამსვლელებზეც ვთქვათ. ოლივერ კანი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა (აქ სიტყვა „ერთადერთი" შეიძლება არც ვიხმაროთ). მის წინ ლოთარ მათეუსი დაიკავებს ადგილს. მერე რა, რომ 39 წლისაა და ამერიკულ, საეჭვო ღირსების ლიგაში თამაშობს. დღევანდელ „ბაიერნს" გადავხედოთ — უბერებელი ლიბეროს გარეშე მიუნხენელთა აულებელი დაცვა თითქმის მოშლილია. მარცხნივ კრისტიან ციგეა, ევრო 96-ის ერთ-ერთი ვარსკვლავი, „მილანიდან" „მიდლსბროში" გადასვლის შემდეგ კვლავ ჩინებულად რომ ათამაშდა. ოლივერ ბირჰოფი — მუდამ მაღალი ბურთისთვის მებრძოლი, „ოქროს გოლის" გამტანი ოქროს ბიჭუნა, ოლივერ ნოივილი, ვისზეც ამბობენ, ახალი პიერ[illegible]სკიაო.



ოქროს გოლის გამტანი ოლივერ ბირჰოფი

აქ მხოლოდ რამდენიმე ბუნდესფეხბურთელი ვახსენეთ — რიბეკის ფავორიტთა საბოლოო შემადგენლობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, ამისთვის ბოლო ვადად 30 მაისია დათქმული.

და მაინც, გერმანელთა მთავარი იმედი, ერთ დროს ულირსი ჟესტისთვის მოკვეთილი შტეფან ეფენბერგი არ გვიხსენებია. გეხსომებათ, ახლახან „რეალთან" მატჩის წინ „ბაიერნის" შანსებს მეტად უიმედოდ აფასებდნენ, დაშავებული ეფენბერგი არ ეყოლებათო. ფეხბურთელმა ტრავმა მოიშუშა, მაგრამ...

„მე მინდა, მხოლოდ „ბაიერნისთვის" ვითამაშო" — აცხადებს ეფენბერგი. ამ სიტყვებს გერმანიაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა — ბუნდესნაკრები უეფენბერგოდ? ოტო რეჰაგელი, „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელი: „ეფე არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც ახლაა. არათუ ჩვენი ნაკრები, მთლიანად ევრო 2000 ვერ წარმომიდგენია უიმისოდ". ხოლო როდესაც ამავე საკითხზე აზრის გამოთქმა ფრანც ბეკენბაუერს სთხოვეს, მან ორაზროვანი პასუხის გაცემა ამჯობინა: „შტეფანი „ბაიერნის" ნამდვილი და უდავო ლიდერია". ეს იყო და ეს.

თუ შტეფან ეფენბერგი თავად უარობს ბუნდესნაკრებში თამაშს, თომას ჰესლერსა და მარიო ბასლერს უბრალოდ აღარ იწვევენ. რამდენიმე დღის წინ „სარბიელში" სუპერმარიოს სიტყვებს წაიკითხავდით: „თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავიღებ, ოღონდ ნაკრებში დამაბრუნონ". ფეხბურთელს ამ საჯარო განცხადებაზე რიბეკმაც ასევე საჯაროდ გასცა მოკლე პასუხი: „ალბათ, არ ავიყვან". ბასლერსა და ჰესლერს სხვა მოთამაშეებიც უჭერენ მხარს, ხოლო ბერტი ფოგთსმა თავისი მემკვიდრის გასაგონად თქვა: „რიბეკი ძალიან შეცდება, თუ მათ ნაკრებში მიწვევაზე უარს იტყვის. მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ის თავის გადაწყვეტილებას შეიცვლის".

ისე არ გავიგოთ, თითქოს რიბეკს მოწინააღმდეგენი ბლომად ჰყავს, მხარს კი არავინ უჭერს. მწვრთნელის დამცველთა შორისაა ფრანც ბეკენბაუერი. კაიზერ ფრანცის სიტყვას კი, მოგეხსენებათ, გერმანიაში დიდი ფასი აქვს: „ისტორიას ადვილად ნუ ვივიწყებთ. 1990 წელსაც, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ცუდად ვთამაშობდით, შემდეგ კი იტალია ტრიუმფით მოვიარეთ. დღეს რიბეკის გადადგომაზე საუბარი დიდი სისულელეა. ბუნდესნაკრები ბელგია-ჰოლანდიაში გაემგზავრება და დამერწმუნეთ, თავის ნამდვილ ძალას აჩვენებს".

ბუნდესნაკრებზე საუბარი იმით დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ — გერმანია საფეხბურთო მანქანაა და გამართულად მუშაობს. მხოლოდ ზოგიერთი ნაწილის შეცვლა სჭირდება ხანდახან.

**გიორგი დარჯანია**

## ხდება ხოლმე...

1. სანამ პროფესიონალი ფეხბურთელი გახდებოდა, ლოთარ მათეუსი დიზაინერი იყო.
2. ერიხ რიბეკი ჩაცმაში ინგლისური სტილის მიმდევარია, ამიტომაც მეტსახელად „სერ" შეარქვეს.
3. ლოთარ მათეუსმა ბუნდესნაკრების მაისურა პირველად 1980 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოირგო.
4. ოლივერ ბირჰოფმა წინა ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთის ისტორიაში პირველი „ოქროს გოლი" გაიტანა.
5. მეჰმეტ შოლი გერმანიის ნაკრებში მოთამაშე პირველი თურქული წარმომავლობის ფეხბურთელია.
6. რიბეკის ყოფილმა თანაშემწე ული შტილიკემ ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ფრანგთა წინააღმდეგ პენალტი გააფუჭა. მისი შეცდომა ახალმა თანაშემწემ, ჰორსტ ჰრუბეშმა გამოასწორა, რომელმაც გამარჯვების გოლი შეაგდო.
7. კარსტენ იანკერს „ფეხბურთის ღმერთს" ეძახიან.
8. დარიუშ ვოში ადრე გდრ-ის ნაკრებში თამაშობდა.
9. ლოთარ მათეუსს 145-ჯერ უთამაშია გერმანიის ნაკრებში. ეს მსოფლიოს რეკორდია.
10. 1979 წლის 7 ნოემბერს ჰორსტ ჰრუბეშმა თბილისში „დინამოს" გოლი გაუტანა. „დინამომ" ჩემპიონთა თასის მერვედფინალში „ჰამბურგთან" წააგო.